CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## რა იცვლება სასკოლო და ეროვნულ გამოცდებში?

N180/3110/ 9 დეკემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რა ინფორმაციები ქონავს ეროვნული ბანკიდან და რა უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ?



## „თავისუფალი საქართველო“ და „ლეიბორისტები“ პრემიერის და 3 მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ





## რა ინფორმაციები ჩამოიტანა გოგა ხაინდრავამ კიევიდან კვიტაშვილზე, ადეიშვილსა და ზღულაძეზე?



## რისთვის დასჭირდა კახა კალაძეს ხუდონჰესზე განცხადების გაკეთება?

## რომელი მოსამართლეები მისცემენ ჩვენებას კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ?



## რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, რომ ინტერპოლით ძებნილი დათა ახალაია უკრაინაში თანამდებობაზე არ დაინიშნოს?



## რის სანაცვლოდ სთავაზობენ 5 000 დოლარს უკრაინაში მიწვეულ ქართველ ოფიცრებს?





## რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ინვესტიციების მოსაზიდად?



## რის გადასამოწმებლად ჩამოვიდა შტაინმაიერი საქართველოში?

## რა ელით ცაგარელის პროგნოზით, ლარს, იურისტებს, ექიმებს და უცხოეთში წამსვლელებს



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ლეპსის კონცერტის ორგანიზატორების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



გრიგორი ლეპსის კონცერტზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

შსს-ს განცხადებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით აღიძრა, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს და 4 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

მომხდარის გამო ტელეკომპანია „მაესტროს“ გადამღები ჯგუფის წევრებს 2 საათის განმავლობაში კითხავდნენ.

საგამოძიებო უწყებაში ნინი მეტრეველსა და ოპერატორ სერგი ბარამიძეს კითხვები გრიგორი ლეპსის კონცერტამდე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაუსვეს.

დაკითხვაზე იმყოფებოდა დაცვის ის თანამშრომელიც, რომელიც, ჟურნალისტის თქმით, ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ჟურნალისტს სპორტის სასახლის დატოვების უფლებას არ აძლევდა და „მაესტროს“ გადამღები ჯგუფი, ერთ საათზე მეტი ოთახში ჰყავდა გამოკეტილი. (ნიუპოსტი)

## უკრაინის მთავრობაში შესაძლოა კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდეს



უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილის, იგორ ბონდარჩუკის განცხადებით, უკრაინის ხელისუფლებაში კიდევ ერთი უცხოელი დაინიშნება, რომელიც დაიკავებს იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტს. მისი თქმით, „ქართველი ან ლიტველი სპეციალისტი მიიღებს უკრაინის მოქალაქეობას და იუსტიციის მინისტრის მოადგილის სამი ვაკანტური პოსტიდან ერთ-ერთს დაიკავებს“.

ბონდარჩუკმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი მოადგილე მუშაობას კვირის ბოლომდე შეუდგება.

როგორც ინფორმაცია ვრცელდება, პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარედაც საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტის დანიშვნას აპირებს. (ნიუპოსტი)



## სირიაში ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა

სირიაში კიდევ ერთი ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა. 21 წლის ზელიმხან ცათიაშვილი პანკისში, სოფელ ბირკიანში ცხოვრობდა.

ახალგაზრდა ქალაქ კოპანში სროლის შედეგად გარდაიცვალა. მომხდარის შესახებ გარდაცვლილის ოჯახის წევრებისთვის უკვე ცნობილია. (ნიუპოსტი)

## გასროლა ვერ მოახერხა და ცოლს მანქანა დააჯახა




შინაგან საქმეთა სამინისტრო საგარეჯოს რაიონში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1973 წელს დაბადებული ელიმხან ე. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანში, ეჭვიანობის ნიადაგზე, თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღით მეუღლის, 1973 წელს დაბადებულ მელეიქა გ-ს მოკვლა სცადა, თუმცა გასროლა ვერ მოახერხა. რის შემდეგაც მეუღლეს თავისი კუთვნილი ავტომანქანით შეეჯახა. მელეიქა გ. ადგილზე გარდაიცვალა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. ცეცხლსასროლი იარაღი და ავტომანქანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. (ნიუპოსტი)

## საქართველოს მთავრობა უკრაინას რეფორმების განხორციელებაში დაეხმარება




საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის, დავით კერესელიძის განცხადებით, რეფორმების განხორციელებაში უკრაინის დახმარებას საქართველოს მთავრობაც გეგმავს.

დავით კერესელიძის თქმით, ნებისმიერი თანამდებობა, რომელსაც უკრაინა საქართველოს შესთავაზებს, ეს ქვეყნის სუვერენული უფლებაა.

„ამაზე ვერაფერს ვიტყვით და ვუსურვებთ მათ წარმატებებს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველა ძალისხმევას მივმართავთ, რომ დავეხმაროთ უკრაინას რეფორმების განხორციელებაში და იმ გამოწვევებში, რომლის წინაშეც უკრაინა დგას“, – განაცხადა კერესელიძემ.

კერესელიძემ უკრაინაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა კონკრეტული დეტალები ამ ეტაპზე ზუსტდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ხოფაში გაჩენილი ხანძრის გამო ერთი ადამიანი დააკავეს



ხოფის ბაზრობაზე მომხდარი ხანძრის ფაქტზე ერთი ადამიანია დაკავებული. მას ბრალი სისხლის სამართლის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით აქვს წაყენებული, რაც სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

რუსლან ფოთელიძე ერთ-ერთია, ვინც ტერიტორიაზე შედუღების სამუშაოებს აწარმოებდა. მისი ადვოკატის თქმით, დაკავების მოტივი უცნობია.

შსს-ს აჭარის მთავარ სამმართველოში ხელოსნებთან ერთად მთელი ღამის განმავლობაში იკითხებოდა ხოფის ბაზრობის ხუთი მოვაჭრე. დაკითხვის შემდეგ ოთხი მათგანი გაათავისუფლეს, ერთი კი დააკავეს.

ხოფის ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა დაწყებულია.

შეგახსენებთ, ხანძარი ხოფის ბაზარზე 7 დეკემბერს გაჩნდა. ხანძრის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა. დამწვარია 50-ზე მეტი ჯიხური. (ნიუპოსტი)

## „მთავრობაში საკადრო ცვლილებებს კიდევ უნდა ველოდოთ“



პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის არმაზ ახვლედიანის ინფორმაციით, მთავრობაში საკადრო ცვლილებები გაგრძელდება.

„საკადრო ცვლილებებს კიდევ უნდა ველოდოთ. ის აუცილებელია. კარგადაც რომ მუშაობდეს ესა თუ ის მოხელე, მაშინაც უნდა შეიცვალოს. ყოველთვის საჭიროა ახალი სისხლი, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის პოსტზე ზვიად ჯანყარაშვილის შემცვლელი. ჩვენდა, საბედნიეროდ, საქართველოში არის ათეულობით სხვადასხვა ასაკის არაჩვეულებრივი ადამიანი, ვისაც მართვა შეუძლია. მთავარია იყოს არსით დემოკრატი და იცოდე, რას ნიშნავს წესრიგი“, – განაცხადა ახვლედიანმა. (ნიუპოსტი)

## რიკოთის გვირაბში მოძრაობა შეიზღუდება



რიკოთის საავტომობილო გვირაბში, ელექტრომექანიკური აღჭურვილობის პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით, 9 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, დღის განმავლობაში (დილის 08:00 საათიდან, საღამოს 18:00 საათამდე) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე.

ღამის საათებში (საღამოს 18:00 საათიდან, დილის 08:00 საათამდე) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში, გვირაბის გავლით განხორციელდება. (ინტერპრესნიუსი)

## საავტომობილო გაზის ფასი გაიზარდა



თითქმის ყველა კომპანიაში გაზის ფასი 5 თეთრით გაიზარდა და 1.15 ლარი შეადგინა. გაზის ფასი უცვლელია მთავარი იმპორტიორის „სოკარის“ გაზგასამართ სადგურებზე – 1.09 ლარი. რაც შეეხება სხვა კომპანიებს, იქ ფასი 1 ლარი 15 თეთრია. ფასის მატებას კომპანიები დოლართან მიმართებაში ლარის კურსის ცვლილებას უკავშირებენ.

„გაზის გაძვირება დოლარის კურსის მატებამ გამოიწვია. ყველა კომპანია გაზს დოლარში შეიძენს. ჩვენ „სოკარიდან“ გაზს უმაღლესი კომერციული კურსით ვყიდულობთ. შესაბამისად, ლარის კურსის ვარდნამ გამოიწვია ფასის მატება. ამ ეტაპზე ფასის მატებაზე საუბარი აღარ მიდის და ველოდებით მდგომარეობის დასტაბილურებას“, – განაცხადა შპს „გამა გაზის“ იურისტმა ლევან დევდარიანმა.

რაც შეეხება საავტომობილო გაზზე ფასის დაკლებას, კომპანიებში აცხადებენ, რომ, თუ ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში ძველ ნიშნულს დაუბრუნდება, საავტომობილო გაზის ფასი კვლავ 1 ლარი და 10 თეთრი გახდება. „გაზის ფასი დაბლა დაიწევს იმ შემთხვევაში, თუ დოლართან მიმართებაში ლარი 1,75 ნიშნულს დაუბრუნდება“, – აღნიშნა დევდარიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## „გერმანია მოსკოვსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. შეთანხმებას არ აღიარებს“



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის განცხადებით, გერმანია მოსკოვსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. შეთანხმებას არ აღიარებს.

„ჩვენ ამას კიდევ ერთხელ ვადასტურებთ და არანაირი ფორმით არ ვაღიარებთ შეთანხმებას“, – დასძინა შტაინმაიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## სხვა ქვეყნების ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამო პარლამენტი კანონს ამზადებს

მას შემდეგ, რაც სირიაში რიგით მერვე საქართველოს მოქალაქე მოკლეს, პარლამენტმა ახალი კანონპროექტის განხილვა დაიწყო იმისთვის, რომ შეწყდეს საქართველოს მოქალაქეების სირიაში წასვლა და იქ ტერორისტულ ორგანიზაციებში საქმიანობა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი დეტალებზე არ საუბრობს, მაგრამ აცხადებს, რომ პირი, რომელიც ტერორისტულ დაჯგუფებებში სხვა ქვეყანაში იბრძოლებს, დაისჯება. (კვირა.გე)

**საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, უკიდურესად აღაშფოთა ქართველი ეკონომისტები და ექსპერტები:**

„US DOLLAR-GEORGIA LARI Exchange Rate

USD-GEL 1.8800 Price of 1 USD in GEL 0.1600 7.84%“.

**7.84%, ანუ ლარის 1600 პუნქტით გამყარება ერთ დღეში?! როგორც ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს არის „მაყუთის“ კეთების უპრეცედენტო შემთხვევა მაშინ, როცა ქვეყანა სიღარიბეში იხრჩობა და ეკონომიკა ნადგურდება.**

**რა ინფორმაციები ჟონავს ეროვნული ბანკიდან? ვინ აიძულებს ხელისუფლებას, რომ ბიუჯეტი სრულად არ დაიხარჯოს? რატომ იქნება 2015 წელი უფრო უარესი?**

დოლარიანი ნიშნული და ცოტა ხანში ისევ წავა აქეთ. ჩვენ ახლა გვაქვს ძალიან ცუდი მდგომარეობა, ფაქტობრივად, ბიუჯეტის ხარჯები არ იქნება გაწეული, რათა ლარი არ გაფუჭდეს, ანუ 1 მილიარდ 400 მილიონი არ წავა ეკონომიკაში. ფულის მასა მიმოქცევაში დარჩება იგივე, რაც იყო 2014 წელს, შეიძლება შემცირდეს კიდეც, მნიშვნელოვანი არხები იკეტება და იყინება ეკონომიკის განვითარება. ინვესტიციები არც წელს არის, არც მომავალ წელს იქნება. როცა ცალკეულ მონოპოლიურ ჯგუფებს შეუძლიათ ლარის კურსის თამაშით ფული იშოვონ და ერთმანეთს გაურიგდნენ, ეს უკვე კატასტროფაა. რაკი ერთხელ გამოუვიდათ, ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება. ნუ აბრალებენ რუსეთს, ეს ქვეყანა ამჟამად ჩვენზე არანაირ გავლენას არ ახდენს. გავლენა იქნება მომავალ წელს, როცა ჩვენს 100 ათადია, რომ ასეთი დიდი რყევების შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟონვის ფაქტები, ფულს შოულობენ გარკვეული ჯგუფები. ის, რასაც ხელისუფლება გეგმავს, არ რჩება მხოლოდ ეროვნული ბანკების კედლებში და ამით სერიოზულ თანხებს აკეთებენ დაინტერესებული ადამიანები.

**— ანუ ეროვნული ბანკიდან ინფორმაცია ჟონავს დაინტერესებული ჯგუფებისთვის, მათ წინასწარ იციან ყველაფერი და ამით თამაშობენ?**

– დიახ, ეს ასეა და ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა ვერ დავდებ ვიდეომასალას, მაგრამ მაქვს და „ნაციონალების“ დროს, მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფო სამსახურში ვიყავი და კარგად მახსოვს, ვილაც ებრაელებმა მილიონები იშოვეს. ესე იგი, ყველა ჭკვიანმა დოლარი გადაახურდავა პარასკევს, როცა იყო 2,5 ლარი და 100 ათას დოლარზე მოიგო 17 ათასი დოლარი.

**— სერგო, „ნაციონალების“ დროს**



**„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასობით ათას, ან მილიონობით დოლარს ვინმე სავალუტო ჯიხურში მიიტანდა, ძალიან ცდები, ეს ოპერაციები ჩატარებული იქნება ბანკებში. ახლა გამოჩნდება, არის თუ არა ხელისუფლება ამ აფიორაში გარეული, თუ გარეულია, მაშინ ყველაფერს გაატარებენ, არ გამოიძიებენ“**

# რა ინფორმაციები ჟონავს ეროვნული ბანკიდან და რა უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ?



– ხალხი ჯერ აპარსეს, ახლა ისევ ჩამოპარსეს და ამას უწოდებენ სახელმწიფო პოლიტიკას? ასე უნდათ, რომ პარსონ ხალხი და ბიზნესი? ასე ბოლომდე უნდა დაგვაფურთხონ თავზე?! ამათი საქციელი უკვე ახსნას არ ექვემდებარება, შეუძლებელია, ასეთ რყევას განაპირობებდეს რაიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები. ეს არის სრულიად აუხსნელი და წარმოუდგენელი ამბავი, ვინც კი ფინანსებში ერკვევა და თვეების განმავლობაში აკვირდება ფინანსური ბაზრების მოქმედებას, მან იცის, რომ ერთი დღის განმავლობაში 1600 პუნქტით დაცემული ვალუტის გამყარება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის მიზანმიმართული სპეკულაციური მოქმედებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლარმა უკვე მოსინჯა 2-სობით თანამემამულეს შეუმცირდება შემოსავალი და შესაბამისად, ნაკლები ფული გადმოირიცხება საქართველოში. კურსის ასეთი მკვეთრი თამაში ადასტურებს, რომ ვილაცამ ძალიან დიდი ფული იშოვა. მე უკვე წელიწად-ნახევარია, რაც ვიძახი, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდება და ასეც მთავრდება. შარშან ეროვნული ბანკი, ასე თუ ისე, ახერხებდა სიტუაციის დაჭერას, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ხელისუფლება უკვე მთლიანად უშვებს ხელიდან ბერკეტებს.

**— ბატონო დემურ, ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ გარკვეული მონოპოლიური ჯგუფები ხელისუფლებას აიძულებენ, ვერ დახარჯოს ბიუჯეტი სრულად, ვერ განახორციელოს პროექტები და ეკონომიკა აღმოჩნდეს სრულ კოლაფსში, ხომ?**

– დიახ, ასეა... თავისთავად ცხაუტყუარი ინფორმაცია, რომ ინსაიტარული ინფორმაცია ჟონავს წაღმა-უკუღმა იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ეკონომიკის განვითარების გარეშე თავს შესანიშნავად გრძნობენ. თუ სახელმწიფო ინსტიტუტები ასე იქნა გამოყენებული, რომლის პრეცედენტიც მე არ ვიცი ჩემი ცოდნის ფარგლებში, ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ და კიდევ უამრავ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. ამ მხრივ 2015 წელი უფრო უარესი იქნება, მე თავს უფლებას ვაძლევ, ასეთი განცხადებები გავაკეთო, რადგან საათობით ვზივარ და სიტუაციის განვითარებას ვაკვირდები. ჩემი ინფორმაციით, ლაპარაკია იმაზეც, რომ უახლოეს ხანში ბანკებში დაიწყება კლიენტებისთვის პროცენტების აწევის პროცესი და ეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ჩვენს მოსახლეობას. რაც ახლა ხდება, ეს არის ბრწყინვალე საშუალება, რათა საქართველოში გატყავდეს ხალხი და ჯერ კიდევ არალობირებული ბიზნესი. დღეს ყვავიან ის მესია-ჯგუფები, რომლებიც უზარმაზარ მარჟებს ხსნიან, იმპორტიორებს მიეცათ საშუალება, თავიანთი მოგება უფრო გაზარდონ.

**როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“, შეიძლება 1600-პუნქტიანი გამყარება არ იყოს ეკონომიკისთვის მთლად დამანგრეველი, მაგრამ ვისაც მოგება ჰქონდა დაგეგმილი, საბანკო ოპერაციები უკვე ჩაატარა და ფულიც იშოვა. აღნიშნული ოპერაციები ძირითადად განხორციელდა მაშინ, როცა 1 დოლარის ფასმა 2 ლარს მიაღწია:**

– მე ვეთანხმები დემურ გიორხელიძეს, ასეთი რაღაცა ერთხელ მოხ-

**ვინ ებრაელები გაკეთდნენ?**

– იყვნენ ვილაც ტიპები, მაშინ კულუარებში ამბობდნენ, ებრაელები ჩალიჩობენო. მაშინაც ძირითადად 2-დღიანი ცვალებადობა იყო. თუ ახლა ხელისუფლება დაინტერესებულია ამ საკითხის გარკვევით, ეს ძალიან იოლია, გამოითხოვოს, დოკუმენტები და მიხვდებიან, ვინ გააკეთა ყველაზე მსხვილი კონვერტაციები. მით უმეტეს, თვითონაც ამბობდნენ, ეს ყველაფერი პანიკას უკავშირდებაო, მერე ამ პანიკას აჰყვა ეროვნული ბანკიც, დააფიქსირა 1,95, მერე ჯიხურებმა ისარგებლეს და ავარდა 2,5-ზე. ვიმეორებ, თუ ხელისუფლებას უნდა, რომ გაიგოს, ვინ მოითბო ამაზე ხელი, გამოიკვლიოს კონვერტაციების საქმეები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასობით ათას, ან მილიონობით დოლარს ვინმე სავალუტო ჯიხურში მიიტანდა, ძალიან ცდები, ეს ოპერაციები ჩატარებული იქნება ბანკებში. ახლა გამოჩნდება, არის თუ არა ხელისუფლება ამ აფიორაში გარეული, თუ გარეულია, მაშინ ყველაფერს გაატარებენ, არ გამოიძიებენ.

**— შეიძლება ვილაცებმა თქვან: ჩვენ, ძმაო, მომენტით ვისარგებლეთ, არაფერ შუაში არ ვართო.**

– ამას წინათ ბიზნესმენებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა რუსეთში მოაწყვეს ასეთი საბოტაჟი: გამოვიდნენ და გაუშვეს ჭორები, რომ მაღაზიებიდან გაქრებოდა წიწიბურა. თუ ადამიანს უნდა ეყიდა 1 კილო წიწიბურა, ყიდულობდა 10 კილოს. არადა, ამ დროს გაირკვა, რომ რუსეთში არსებობდა 4-5 წლის მარაგი. ამით ვინ იქნებოდა დაინტერესებული? ის, ვინც იყო შემომტანი. ახლა, როცა დოლარი ასე გარბის და ვილაცა პარასკევ საღამოს რისკზე მიდის, ის ხომ დაინტერესებული პირია? ბანკებს ჩვენ ინფორმაციის გამჟღავნებას ვერ მოვთხოვთ, ეს კონფიდენციალურია, მაგრამ, თუ ხელისუფლება მოინდომებს, ამას იოლად გაარკვევს. თუ ეს იყო საბოტაჟი, მაშინ გამოითხოვოს ინფორმაცია.

**— მსგავსი რამ ხდება სხვა ქვეყნებში?**

– ხდება, ასეთი რაღაცები მოხდა ევროპის ქვეყნებშიც და ამერიკაშიც, მაგრამ ვინც გამოააშკარავეს, დაიჭირეს. ასეთ აფიორაზე უცხოეთშიც მიდიან, თუმცა ასეთ მასშტაბურზე არა. ისინი მუშაობენ 2-დან 10 პუნქტამდე, ჩვენთან წაიმუშავეს 1500-1600 პუნქტზე. ახლა უყურე, 2,5-დან 1,8-მდე უკუვარდნა გვაძლევს 1600-პუნქტიან სხვაობას, ანუ 100 დოლარზე 15 ლარი დარჩა მოგება. ესე იგი, ვილაცებმა თავიანთი ქონება უცებ გაზარდეს საშუალოდ 10 პროცენტით და მაგრადაც იხეირეს.

**ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, მსგავსი ვარდნა და გამყარება დაფიქსირდა მესამედ, პირველი იყო 2004 წელს (2,14) როცა „ნაციონალები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში. მაშინ უცებ ჩამოაგდეს 1,7-ზე. მეორე რყევა იყო 2010 წელს, როცა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში აიყვანეს თითქმის 1,89-ზე და შემდეგ ჩამოაგდეს 1,60-ზე. მესამე — ეს მოხდა აგერ, რამდენიმე დღის წინ, როცა ლარის კურსი აიყვანეს 1,9527-ზე და შემდეგ ჩამოაგდეს 1,88-ზე. თუ დავუკვირდებით, სამივე შემთხვევაში გაუფასურება და შემდეგ გამყარება თითქმის თანაბარ ციფრებში მერყეობს და ამიტომაც ამტკიცებენ ექსპერტები, რომ საქმე გვაქვს დიდ აფიორასთან.**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დავით უსუფაშვილი კოლეგებს დაემშვიდობა



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კოლეგებს დაემშვიდობა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობა კი ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს გადააბარა.

უსუფაშვილი, სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების მიზნით რამდენიმე დღით საზღვარგარეთ მიემგზავრება.

„ვეცდები, დავბრუნდე ჯანმრთელად და დამხვდით ჯანმრთელები, ნახვამდის“. – განუცხადა უსუფაშვილმა პარლამენტარებს.

პარლამენტის თავმჯდომარე საქმიანობას მომავალი კვირის ბოლოს დაუბრუნდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ქალთა კოლონიაში შიმშილობა გრძელდება



გავრცელებული ინფორმაციით, ქალთა კოლონიაში პატიმარი მარინა ირემაძე შიმშილს აგრძელებს. შიმშილობის მოტივი უცნობია, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ პატიმარს ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს გაუარესებული და ის პროტესტის ამ ფორმით, საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობს.

სასჯელაღსრულების სამინისტროში გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ეს ცრუ ინფორმაციაა. მათი თქმით, პატიმარს არანაირი ჯანმრთელობის პრობლემა არ აღენიშნება, შიმშილობის მოტივი კი მათთვისაც უცნობია. როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურში ამბობენ, მოშიმშილე პატიმარი დაკვირვების ქვეშ იმყოფება. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



**GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.**

**GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.**

**აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.**






CIAN MAGENTA YELLOW BLACK






# რა ინფორმაციები ჩამოიტანა გოგა ხაინდრავამ კიევიდან კვიტაშვილზე, ადეიშვილსა და ზღულაძეზე?

კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა „ნაციონალების“ პოლიტიკურ კუბოს ჩაქუჩით დასდევს და სადაც წაეწევა, ლურსმანს ურტყამს. ფაქტობრივად, ხაინდრავამ საერთაშორისო მაწანწალას, მიხეილ სააკაშვილს, პოლიტიკური ტურნე გამოუცხადა. უკრაინაში ხაინდრავას პრესკონფერენცია იყო მეორე რაუნდი სააკაშვილისა და მისი საძმოს წინააღმდეგ. ამ შეხვედრამდე გოგა ხაინდრავამ მსოფლიო მასხარა გახადა შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი კარლ ბილდტი, რომელიც კორუფციაში ამხილა და დოკუმენტები ააფრიალა, საიდანაც იკვეთებოდა ფაქტი, რომ კარლ ბილდტს სააკაშვილის რეჟიმი ფულს უხდიდა იმისთვის, რომ სააკაშვილი და მისი პარტია დასავლეთში გეპიარებინა. საქართველოს ინტერესი ამ შემთხვევაში ორივე მათგანს ფეხზე ეკიდა. რაც შეეხება უკრაინაში ხაინდრავას ტურნეს, მან „ალიას“ მკითხველს საინტერესო დეტალები გაუმხილა.

თუმცა მანამდე, როგორც ჟურნალისტს, მინდა საკუთარი პოზიცია დავაფიქსირო და თქვა, რომ, სამწუხაროა, რასაც უკრაინის ხელისუფლება ქართველი ხალხის წინაშე სჩადის. ქართველი ხალხი სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას ითხოვს, ეჭვმიტანილ პირებს კი უკრაინა პოსტებს სთავაზობს. მინიმუმ უხერხულია. რა გამოდის, 44-მილიონიან ქვეყანას მოაზროვნე ადამიანები არ ჰყავს?

**აი, რას ყვება ჩვენთან ინტერვიუში გოგა ხაინდრავა:**

– უკრაინის რიგიც მოვიდა, მთელ რიგ ქვეყნებში მაქვს ნაჩვენები ჩემი ფილმი „დემოკრატიის შუქურა“, სადაც კარგად ჩანს „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დანაშაულები. პრესკონფერენციაზე ყველაზე შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ციხის სკანდალური კადრების ჩვენება, მე მათ ავუხსენი, რას წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა მიიღეს სრული შოკი, როცა ნახეს ციხის კადრები. მითი სააკაშვილის რეფორმატორობის შესახებ, საკმაოდ გავრცელებულია უკრაინაში. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ კვიტაშვილის კანდიდატურა, რომელიც ახლახან დაინიშნა ჯანდაცვის მინისტრად, უკრაინულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგანაც ჯანდაცვის მინისტრს უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება, მინიმუმ ამ სფეროში საკანდიდატო დისერტაცია უნდა ჰქონდეს დაცული. კვიტაშვილის შემთხვევაში ასე არ არის. საერთოდ, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო ჯანმრთელობის მინისტრი ადამიანი, რომელმაც ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა. ეს არის პირდაპირ კანონდარღვევა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს დანიშვნები არის ნაჩქარევად გაკეთებული. ძალიან რთულად არის ვითარება, კვიტაშვილის კანდიდატურის დანიშვნამ ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უკრაინის სამედიცინო წრეებში. უკრაინაში არის უამრავი კვალიფიციური ექიმი, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ექიმებს შორის არიან და მათ თავზე დაასვეს კვიტაშვილი, რომელსაც საქართველოში არავითარი რეფორმა არ ჩაუტარებია, გარდა იმისა, რომ გაყიდა საავადმყოფოები. ამას გარდა, უკრაინაში კონსტიტუციის მიხედვით ყველა მაღალი თანამდებობის პირს ევალება, ისაუბროს უკრაინულად და მიმოწერა განახორციელოს მხოლოდ უკრაინულ ენაზე. რა გაუჭირდა უკრაინას ისეთი, რომ მაინცდამაინც საქართველოდან იყოს ჩამოყვანილი ჯანდაცვის მინისტრი. უკრაინელ ჟურნალისტებს ვუთხარი, კვიტაშვილისთვის ეკითხათ, დაასახელოს ერთი რეფორმა, რომელიც მან საქართველოში განახორციელა, თუ არ ჩავთვლით იმ რეფორმას, რომლის შედეგადაც, როგორც გითხარით, ყველა საავადმყოფო გაიყიდა. ნათქვამია, – უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო და ასეა უკრაინაში საქმე. ძალიან ბევრი შეკითხვა მაქვს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან, ქალბატონ მაია ფანჯიკიძესთან, ევროპასა და ამერიკაში სიარული, „შალახოს“ შეკვეთა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე უკრაინასთან მუშაობა რატომ არ მიდიოდა ამ მიმართულებით, უკრაინულმა საზოგადოებამ და უკრაინის ხელმძღვანელობამ რატომ არ იცოდა არაფერი რეალურად იმის შესახებ, რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში. რამდენი დანაშაული და ბოროტმოქმედება აქვს ჩადენილი, ეს ბევრად საინტერესოა, იმიტომ, რომ რეალურად ამ თვალსაზრისით ორი წლის განმავლობაში იქ ამ კუთხით მუშაობა არ ჩატარებულა და სრული სიბნელეა.

როდესაც საკითხი დადგა ადეიშვილის ანტიკორუფციული სამსახურის შესაძლო ხელმძღვანელობაზე, რაც თავისთავად ცინიზმია იმიტომ, რომ ელიტარული კორუფციის მამაა ეს ბნელეთის მოციქული, რომელმაც ქართული ბიზნესის ტერორი განახორციელა საქართველოში, რომელიც მამამთავარი იყო იმ უბედურების, როცა სასამართლოში საქმეების 99% უდანაშაულო მოქალაქეების წაგებით მთავრდებოდა. პროკურატურა, როგორც ძალადობისა და ყაჩაღობის იარაღი იყო ადეიშვილისთვის. ასეთი ადამიანისთვის ანტიკორუფციული სამსახურის შეთავაზება აბსოლუტური ცინიზმია. უკრაინელმა ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს საბუთები იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერპოლით იძებნება ადეიშვილი. მიმართეს ხელისუფლებას და უთხრეს, რომ სირცხვილია, ადამიანი, რომელიც ინტერპოლით იძებნება, წარდგენილი იყოს უკრაინაში მსგავსი ტიპის თანამდებობაზე, იგივე ეხება ეკა ზღულაძეს, რომელიც თითქოსდა შს მინისტრის მოადგილედ განიხილებოდა, რაც ასევე სიმართლეს არ შეეფერება. არანაირ მოადგილედ ის არ განიხილება.

**— თქვენ ამბობთ, რომ ეკა ზღულაძის შს მინისტრის მოადგილედ დანიშვნა ტყუილია?**

– ზღულაძე არის საფრანგეთის მოქალაქე, ალექსანდრე კვიტაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც დათმო საქართველოს მოქალაქეობა და მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, სხვა შემთხვევაში ის ჯანდაცვის მინისტრად ვერ დაინიშნებოდა, ეკა ზღულაძე საფრანგეთის მოქალაქეობას არ დათმობს, არც ერთი იდეალის გამო და ბუნებრივია, ვერ დაინიშნება შს მინისტრის მოადგილედ, ამიტომ ლაპარაკია, რომ ის იქნება კონსულტანტი, თუმცა უკრაინელები გავაფრთხილე, ეკა ზღულაძე შს მინისტრს კონსულტაციებს გაუწევს იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება მამაკაცების ციხეში გაუპატიურება ხელკეტებითა და ცოცხებით. ციხის სკანდალური კადრების ჩვენების შემდეგ უკრაინელ ჟურნალისტებს ვუთხარი, რომ სწორედ ეს ქალბატონი ბრძანდებოდა ზუსტად იმ მინისტრის პირველი მოადგილე, რომელმაც ეს ყველაფერი საქართველოში განახორციელა, 7 ნოემბრით დაწყებული, ყველა საშინელი მოვლენა სწორედ მათ უკავშირდებათ. მათ ავუხსენი, რომ ვანო მერაბიშვილი სწორედ თავისი ჩადენილი დანაშაულების გამო იხდის სასჯელს. ასე რომ, წინასწარ გავაფრთხილე, რა კონსულტაციებს ჩაიტანს ის, რომ აღარაფერი ვილაპარაკოთ სააკაშვილზე, რომელიც ასევე ძებნილია და ის იძებნება უმძიმეს დანაშაულზე და თუ მას საერთაშორისო კონიუნქტურა იცავს, უფრო სწორად საერთაშორისო ბნელი ძალები, ეს არის მსოფლიოს უბედურება და არა, ჩვენი... მე ძალიან დიდ პატივს ვცემ უკრაინელ ხალხს, სააკაშვილისა და მისი დამქაშებისგან განსხვავებით, არ ვაპირებ ბნელი საქმეების პლაცდარმად უკრაინას ქცევას, როგორც ეს მათ გააკეთეს საქართველოში. სააკაშვილს საქართველოზე არასოდეს შესტკიოდა გული და ახლა, უკრაინაზე როგორ შესტკივა გული, ჩვენ კარგად ვიცით. ისიც ვიცით, რისთვის უნდა უკრაინა, რას ახორციელებს და ვინ ეხმარება...

**— უფრო დეტალურად მითხარით, რა ინფორმაცია მიიღეთ უკრაინელებისგან, ვის დავალებას ასრულებს და რისთვის სჭირდება მას უკრაინა, როგორც პლაცდარმი?**

– უკრაინა სხვადასხვა ძალების ბრძოლის პლაცდარმს წარმოადგენს. ასეთ რევოლუციურ დროს, როცა ერთი ფორმაციიდან მეორე ფორმაციაზე გადადის ქვეყანა, იანუკოვიჩის ხელისუფლება რა იყო, ყველამ კარგად ვიცით, ახლა უკრაინა ევროპული ხედვის ჩამოყალიბებას იწყებს, თუმცა მათ ძალიან ბევრი ხელშემშლელი პირობა აქვთ, პირველ რიგში სააკაშვილისნაირი ავანტიურისტების მხრიდან. ჩვენ ვნახეთ, სააკაშვილმა როგორ წააგო ომი დღე-ნახევარში და ამის გაკეთებას უკრაინა არ აპირებს, იქ სერიოზული ომია. მე ვგულშემატკივრობ უკრაინელ ხალხს და ვწუხვარ, რომ პროვოკატორი სააკაშვილი უკრაინას პრობლემებს შეუქმნის. მე უკრაინელ ჟურნალისტებს ვუთხარი, თუ სააკაშვილი და მისი ბანდა რამეში წაგადგებათ, შეგიძლიათ ყველა წაიყვანოთ, ეს ჩვენი პრობლემა არ არის, უბრალოდ, აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ წინასწარ ჩაგაყენოთ საქმის კურსში, რის გამოწვევა შეუძლიათ მათ და ეს რისკები დაგანახოთ, თორემ ჩვენთვის სააკაშვილი უკრაინაში იქნება, ჩინეთში თუ მონღოლეთში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ უკრაინა იმდენად გვიყვარს, გულწრფელად შეშფოთებულები ჩამოვედით, თორემ თუ გინდათ დედიან-ბუდიანად, მთელი „ნაცმოძრაობა“ წაიყვანეთ, რა თანამდებობაზეც გინდათ დანიშნეთ, ჩვენ ამით მხოლოდ სულს მოვითქვამთ. ჩვენ ავუხსენით, რომ არ ვერევით მათ შიდა საქმეებში, უბრალოდ, ვიძლევით მეგობრულ რჩევებს, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც რას სჩადიოდა დონეცკში არჩევნების დროს, უკრაინელ ჟურნალისტებს შევახსენე და ისიც ვუთხარი, რომ ვანო მერაბიშვილი 2000 კაცამდე ზონდერებს აგზავნიდა არჩევნების წინა პერიოდში, ქვეყანა აურ-დაურიეს და პრაქტიკულად იანუკოვიჩს თავის დროზე არჩევნები მოაგებინეს. გავახსენე, როგორ ერეოდა პრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინის შიდა საქმეებში, როცა გამოქვეყნდა ტიმოშენკოსა და სააკაშვილის ფარული საუბრები, სადაც სააკაშვილი ეუბნებოდა, რომ ის იყო ტიმოშენკოს გვერდით და იანუკოვიჩის წინააღმდეგ არჩევნებში. ამ ჩანაწერმა თავის დროზე ძალიან გააღიზიანა უკრაინელი ხალხი, რადგან დაინახეს, რომ სააკაშვილი მათ შიდა საქმეებში უხეშად ერეოდა და სწორედ სააკაშვილისა და მისი ბანდის დამსახურებაა ის, რომ იანუკოვიჩმა თავის დროზე არჩევნები მოიგო. ასევე შევახსენე გივი თარგამაძის სატელეფონო საუბრები კანონიერ ქურდებთან, სადაც ის დონეცკის გაუპატიურებით იმუქრებოდა, თუ ტიმოშენკოს სასარგებლოდ ხმებს არ წამოიღებდნენ. ავუხსენი, რომ მათ აი, ამ ხალხთან აქვთ საქმე. სწორედ ამ ხალხმა განაწყო ელექტორატი მაშინ დემოკრატიული ძალების საწინააღმდეგოდ და იანუკოვიჩის სასარგებლოდ. ასეთი დავალებით მოქმედებდნენ მაშინაც და იგივე დავალებით იმოქმედებს ახლაც სააკაშვილი, იმიტომაც დაბრძანდება უკრაინაში ბიძამისთან ერთად და უკრაინელები გავაფრთხილე, ეს თქვენთან აქვს სააკაშვილს პროდასავლური ლიდერის იმიჯი, თორემ მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდა რუსულ ინტერესებს და დღესაც ამ ინტერესების განხორციელებას განაგრძობს.

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეროვნული ბანკის კურსით 1 დოლარი 1.94 ლარი ეღირება



საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებაში ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა. 1 დოლარის შეძენა, ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით, 9 დეკემბერს 1.94 ლარად იქნება შესაძლებელი.

ეროვნული ბანკის მიერ 5 დეკემბერს გამართული სავალუტო ვაჭრობის შედეგად დადგენილი კურსი 1.95 ლარს შეადგენდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კიწმარიშვილის საქმეზე გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება



თბილისის პროკურორის მიხეილ შაყულაშვილის განცხადებით, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება. „აუცილებლად გასაჯაროვდება ყველა დეტალი, რაც გამოძიების დროს გახდა ცნობილი, ამ ეტაპზე რაიმე ვერსიის გაცხადებისგან თავს შევიკავებ, ასევე თავს შევიკავებ ოჯახის ვერსიის დადასტურებისგან ან უარყოფისგან, ყველაფერს საქმე გვაჩვენებს. ფაქტებით გამყარებული საქმიდან გამომდინარე, ლოგიკურად უნდა ვიფიქროთ კიდევაც და რა თქმა უნდა, შესაბამისი დასკვნებიც დაიდება“, – განაცხადა შაყულაშვილმა. კიწმარიშვილის ოჯახი და ახლობლები გამოძიების შედეგების გასაჯაროებამდე, თბილისის პროკურორთან შეხვედრას გეგმავენ.

ეროსი კიწმარიშვილი 15 ივლისს საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანა) მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)



# რის სანაცვლოდ სთავაზობენ 5 000 დოლარს უკრაინაში მიწვეულ ქართველ

საკადრო წმენდა გრძელდება, ბიძინა ივანიშვილი კულისებიდან გამოდის. არის ინფორმაცია, რომ ჩვენ სკანდალურ დაჭერებსაც ვიხილავთ, არავის არაფერი ეპატიება, ყველას პასუხს მოვთხოვ, ვინც სახელმწიფო თანამდებობას ბოროტად გამოიყენებს, – ეს არის ბიძინა ივანიშვილის გზავნილი.

მთავარი კითხვა, რომელიც პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ისმება, არის შემდეგი: ბიძინა ივანიშვილი უპირისპირდება ღარიბაშვილს, თუ ის ზრუნავს მისი იმიჯის გადასარჩენად? ივანიშვილთან დაახლოებული რამდენიმე წყარო აცხადებს, რომ შეუძლებელია ივანიშვილმა ღარიბაშვილი გაწიროს. შესაძლოა, ეს გარედან ასე არ მოჩანს, მაგრამ რეალობა არის ის, რომ, თუკი ივანიშვილი ღარიბაშვილს გაწირავს, გაწირავს საკუთარ თავს, ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ღარიბაშვილის იმიჯი გადაარჩინოს.

შეგახსენებთ, რომ საკადრო წმენდა დაიწყო მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი დეკემბრის დასაწყისში შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილს და მის ნათესავს, ზვიად ჯანყარაშვილს, რომელსაც მოსთხოვა, პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი დაეტოვებინა და სასურველი იქნებოდა, თუკი ქვეყნიდანაც წავიდოდა, რის შემდეგაც პოსტები დატოვეს ჯანყარაშვილის კადრებმა. ძირითადად, საკადრო წმენდა სამ უწყებაში მიმდინარეობს, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სადაც თანამდებობები დატოვეს სუს-ისა და გენინსპექციის ხელმძღვანელებმა, ამ პოსტებზე ბიძინა ივანიშვილის სანდო კადრები გადანაწილდნენ, რომლებიც იქნებიან თვალი, ყური, შს სამინისტროში მიმდინარე პროცესების, რაც ნიშნავს, რომ კონტროლი ამ უწყებაზე უკვე ბიძინა ივანიშვილის ხელში გადადის. ასევე წმენდა განხორციელდა ინფრასტრუქტურის სამინისტროში, უბრალოდ, ინფრასტრუქტურის მინისტრი აღმოჩნდა უთავმოყვარეო, რომელსაც არ ეყო ძალა, რომ თავისი ნებით დაეტოვებინა პოსტი, მაგრამ მას აუცილებლად მოუწევს გადადგეს მინისტრობიდან, მისი მოადგილე, რომელიც ეჭვმიტანილია ბიზნესის ზეწოლაში, კოპაძის ადგილი დაიკავა ნოდარ ჯავახიშვილმა, აქაც ჩათვალეთ, რომ ჯავახიშვილი იქნება ბიძინა ივანიშვილის თვალი და ყური, მის გარეშე ვერც ერთი ოპერაცია ვერ განხორციელდება. წმენდა ტარდება საფინანსო უწყებაში და ეს გაგრძელდება, თუმცა არავინ იცის, საბოლოოდ რით დასრულდება.

**ნიშნავს თუ არა საკადრო ცვლილებები იმას, რომ ივანიშვილი ღიად ებმება პოლიტიკაში? რა გზით წავა ივანიშვილი, პრემიერს შეცვლის თუ რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს?**

**ფსიქოლოგი და ექსპერტი რამაზ საყვარელიძე „ალიასთან" ინტერვიუში შექმნილ მდგომარეობას აფასებს და აცხადებს:**

– ძნელია, როცა არ იცი სამზარეულო დეტალურად, გააკეთო შეფასება, მაგრამ, ასეა თუ ისე, მიმდინარე პროცესს დადებითად ვაფასებ, ცვლილებები ყოველთვის გამაჯანსაღებელია, თუ ამ ეტაპზე ცვლილებებისკენ გადაიდგა ნაბიჯი, ეს ნიშნავს, რომ ხალხის უკმაყოფილებას ყურს უგდებენ ისინი, ვისზეც ამგვარი ცვლილებებია დამოკიდებული. ის, რომ არჩევნები ორი წლის შემდეგ არის, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას სურს, მოიპოვოს გამარჯვება არჩევნებში, რომ მოსახლეობამ არჩევანი მათზე გააკეთოს. ამისთვის იდგმება უკვე ნაბიჯები და ამ საკადრო ცვლილებებსაც სწორედ ამ პროცესს ვუკავშირებ, ვინც ამ საკადრო წმენდის უკან დგას, სწორედ მისი გზავნილია, რომ დაიდოს კონკრეტული შედეგები, შეიქმნას სისტემა, სადაც ადამიანებს გაუთვალისწინებელი პრობლემები არ შეექმნებათ.

**— მედიისთვის ცნობილი გახდა, როცა ივანიშვილთან პრემიერისა და ჯანყარაშვილის შემდეგ კონკრეტულმა თანამდებობის პირებმა თავისი ნებით დაწერეს განცხადებები გადადგომასთან დაკავშირებით. ეს ჩინოვნიკები როგორც ამბობენ, ჯანყარაშვილის გუნდს წარმოადგენენ. ეს ფაქტი ნიშნავს თუ არა, რომ ივანიშვილი კულისებიდან გამოდის და ღიად ებმება პოლიტიკაში?**

– პრესით გავრცელებულ ინფორმაციაში, იყო ასეთი ფრაზა, ჯანყარაშვილის მიმართ, შენი გულისთვის მე მაგინებენო. კაცმა არ იცის, ეს რამდენად რეალური ინფორმაციაა, მაგრამ, თუკი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის ფრაზა: „მე მაგინებენ", ეს დადებითი ფრაზაა იმ მხრივ, რომ ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ხათრით გაიმარჯვა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" და ივანიშვილი არ აპირებს, თავი საგინებლად გაიხადოს. ის ყურს უგდებს ხალხის ხმას. ადამიანმა, რომელმაც ქვეყანას ძალიან ბევრი რამ გაუკეთა, ააგო ტაძრები, მილიარდობით ქველმოქმედება გაწია, როგორც ფიქრობთ, ჩინოვნიკების გამო თავს საგინებლად გაიხდის და შეეგუება ხალხის გინებას? რა თქმა უნდა, არ შეეგუება. ამიტომაც ბიძინა ივანიშვილის რეაქცია გასაგებია.

**— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი რა გზით წავა, დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, თუ პრემიერ-მინისტრს გამოცვლის?**

– არა მგონია, ივანიშვილი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გზით წავიდეს, ეს დღის წესრიგში არ იქნება იმიტომ, რომ „ქართული ოცნება" როგორც პარტია, ამ მომენტისთვის არჩევნებისთვის მზად არ არის და რიგგარეშე არჩევნები შესაძლოა ამ პარტიისთვის აღმოჩნდეს წამგებიანი. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრემიერის ცვლილებას, გააჩნია, ღარიბაშვილი თვითონ რა პოზიციას დაიკავებს. თუ მან საკუთარ კადრებზე თავი დადო, გაჯიუტდა მათ დაცვაში, ღარიბაშვილმა შეიძლება დაკარგოს თანამდებობა, ისევე როგორც ალასანიას შემთხვევაში ვნახეთ. თუ ღარიბაშვილი აჰყვა ამ ცვლილებას, მაშინ არ დადგება ღარიბაშვილის გადაყენების საკითხი. მე ვფიქრობ, საკადრო წმენდა გაგრძელდება, მოდის არჩევნები, არჩევნებს იგებს და აგებს აღმასრულებელი ხელისუფლება. სწორედ ის პარტიაა მოგებული, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უკან დგას. ცვლილებები ემსახურება სწორედ იმას, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხალხს მთავრობის მიმართ პრეტენზიები აღარ უნდა ჰქონდეს. აღარ უნდა დაისვას კითხვა, – რატომ არაფერს აკეთებს მთავრობა?..

**— ამასობაში მიხეილ სააკაშვილი არ ისვენებს, აცხადებს, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილი მოსკოვში გაიქცევა, ის პასუხს აგებინებს იმ კონკრეტულ ადამიანს, ვინც პროკურატურას დავალებას აძლევს მის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, ის სკანდალური მოწოდებით გამოდის და ქართველ ოფიცრებს უკრაინაში საომარ ოპერაციებში ჩართვის სანაცვლოდ უკრაინის მოქალაქეობას სთავაზობს. ეს არის თუ არა საბოტაჟი, პროვოკაცია მისი მხრიდან? აქვე გეტყვით, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვინმე წიკლაური, რომელიც სათავეში უდგას უკრაინაში ქართველი მებრძოლების შეგროვებას, თითო მებრძოლს თვეში ჰპირდება 5000 დოლარს. რა პროცესებთან გვაქვს საქმე?**

– ქართველ ოფიცრებში იმ სულისკვეთების შეტანა, რომ მათ მაღალი ხელფასის სანაცვლოდ საკუთარი სამშობლო მიატოვონ და სხვისი ტერიტორიის დასაცავად იბრძოლონ, ამ სულისკვეთების შეტანა არის ძალიან მძიმე და დაუშვებელი. „ნაცმოძრაობამ" თავად სადაც იშოვა თავშესაფარი, იქ შეეფარა, რბილად რომ ვთქვათ, უკრაინის ხელისუფლების პოზიციაა გაუგებარი. ის ფაქტი, რომ უკრაინის ხელისუფლებამ შეიფარა „ნაციონალური მოძრაობა", საქართველოს მოსახლეობისთვის აღქმულია, როგორც მათი შეურაცხყოფა.

**— ქართველი ხალხის მიმართ პოლონეთმაც გამოხატა უპატივცემულობა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს „თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდის" წოდება პოლონეთის ხელისუფლებას არ მიუნიჭებია, აგრესია გაჩნდა მოსახლეობაში მას შემდეგ, როცა სააკაშვილი მოიხსენიეს ლეგენდარულ პიროვნებად, ხოლო ვოლსკიმ დასძინა, — ჩვენ ბიძინა ივანიშვილის საქართველოს ევროპასთან ასოცირებისთვის კი არ დაგვიჭერია მხარი, არამედ ვუგულშემატკივრეთ სააკაშვილის საქართველოსო... არის თუ არა ეს ქართველი ხალხის დაცინვა?**

– ქართველი ხალხის მიმართ ხშირად გადადგმულა ასეთი ტიპის ნაბიჯი და თითქმის ყოველთვის გვაქვს რეაქცია. სამწუხაროდ, უცხოელი უფრო გამოცდილი ერებიც კი, ასეთ უტაქტობას უშვებენ. ასეთი უტაქტო ნაბიჯი საქართველომ რომ გადადგას, რა თქმა უნდა, მათ რეაქცია ექნებათ. ჯერჯერობით ვერც იმათ ისწავლეს კორექტულობა, ჩვენც, ალბათ, სასწავლი გვაქვს, როგორ ავირიდოთ თავიდან ასეთი შეფასებები...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ხელისუფლება სირიაში ბოევიკების გადინებას ხელს არ უშლის"



პარტია „თავისუფალი საქართველო" სირიაში საქართველოდან წასული მებრძოლის დაღუპვას ეხმაურება. როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს ძალოვანმა უწყებამ საზოგადოებას უნდა განუმარტოს, რა გზებით ახერხებენ ბოევიკები საქართველოს საზღვრის გადაკვეთას.

„სირიის ქალაქ ქობანში 21 წლის ზელიმხან შათირიშვილი დაიღუპა, რომელიც ამბოხებულთა მხარეს საბრძოლველად პანკისის ხეობიდან წავიდა. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სირიაში საქართველოდან წასული მებრძოლები იღუპებიან და ამან ერთგვარი ტენდენციის სახე მიიღო.

მივმართავთ პროკურატურას და შს სამინისტროს: მისცენ საზოგადოებას განმარტებები, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ვაჰაბისტური ცენტრებისა და საქართველოდან სირიაში ბოევიკების გადინების საქმეებთან დაკავშირებით.

ასევე ვითხოვთ კონტრდაზვერვის სამსახურისგან, გააკეთოს განმარტებები, რა გზებით ახერხებენ მეამბოხეების მხარეს მებრძოლი ბოევიკები საქართველოს საზღვრის გადაკვეთას და ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის გავლით სირიაში მოხვედრას და იღებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ზომებს ამ პროცესის შესაჩერებლად", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. დოკუმენტი ალასანიას პოლიტიკის პასუხია"



„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის ნინო ბურჯანაძის თქმით, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ე.წ. დოკუმენტის გაფორმება დიდწილად რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით ირაკლი ალასანიას განცხადებას უკავშირდება.

„დღეს პარლამენტსა თუ მთავრობაში არიან ადამიანები, პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ, ხელში სააკაშვილის დროშა აიღონ და იმავე პროექტის ნაწილი გახდნენ, რომელი პროექტის ნაწილიც სააკაშვილი იყო. მათ შორის პირველ რიგში, ირაკლი ალასანიას ვგულისხმობ, რომელიც ამას ღიად და დაუფარავად ცდილობს. მე ვამბობ, რომ დიდწილად სწორედ ალასანიაზეა ის ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა. როდესაც მან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, რუსეთმა მომენტალურად განაცხადა, ჩვენ ამას საფრთხედ აღვიქვამთ და შესაბამისად, ვიმოქმედებთო. მერე ისევ ალასანიამ გააკეთა განცხადება, საქართველოში ნატოს ბაზა იხსნებაო, საწვრთნელი ცენტრი კი არა, ნატოს ბაზაო. რუსეთმაც მყისვე გააკეთა განცხადება, ჩვენ ამაზე რეაგირებას მოვახდენთო და გამოაგდო ეს ხელშეკრულება და რუსეთმა ამ დოკუმენტის ფორსირება დაიწყო", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ლიკანში ხანძარს ქალბატონი ემსხვერპლა

ლიკანში მესხეთის ქუჩაზე ხანძარს ერთი ქალბატონის სიცოცხლე ემსხვერპლა, მაშველებმა გარდაცვლილს მხოლოდ ხანძრის ლოკალიზების შემდეგ მიაგნეს.

დაიწვა ოთხი სახლი. ცეცხლმა სრულად გაანადგურა საოჯახო ტექნიკა, საკვები და ტანსაცმელი. დაზარალებულები დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვენ.

გავრცელებული ინფორმაციით ხანძრის გამომწვევი მიზეზი ძველი ელექტროგაყვანილობა გახდა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რომელი მოსამართლეები მისცემენ ჩვენებას კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ?



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს სასამართლო რეფორმების გატარების პროცესში ხელის შეშლაში ადანაშაულებს. წულუკიანი აცხადებს, რომ სასამართლო სისტემაში სერიოზული პრობლემებია და ამის აღიარება არ უნდა კუბლაშვილს: „მე მას ორი წელია ვთხოვ, აღიაროს, რომ სასამართლო სისტემის შიგნით არის პრობლემები. ამას ჯიქურ არ აღიარებს. მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემის შიგნით ყველაფერი კარგად არის. დღეს თუ არა, ხვალ კოტე კუბლაშვილს მოუწევს ამის აღიარება. მე პირადად მასზე დიდ იმედებს აღარ ვამყარებ იმასთან დაკავშირებით, რომ რეფორმატორი გახდება და ამ მანტიით დატოვებს მართლმსაჯულებას. იმედია, მომავალი ხელმძღვანელი იქნება რეფორმატორი, რომელთან ერთადაც ბოლომდე მივიყვან მართლმსაჯულების რეფორმას“.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა წულუკიანი და კუბლაშვილი მედიით ერთმანეთს კენწლავენ, თუმცა ეს დაპირისპირება მედიის იქით ჯერ არ წასულა, კოტე კუბლაშვილი კვლავ მორჭმით ზის თავის სავარძელში და უკვე გაყვანა და როგორც ჩანს, ეს პოსტი მისთვის პლაცდარმად სჭირდებოდათ, რომ მერე მისით ჩაენაცვლებინათ კუბლაშვილი. იმდენი მოახერხეს გარკვეულმა ძალებმა, რომ ბიძინა ივანიშვილი შეიყვანეს შეცდომაში და მურუსიძე წარუდგინეს, როგორც რეფორმატორი მოსამართლე. მაშინ ჯერ არ იყო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები არც გირგვლიანისა და არც მოლაშვილის საქმეზე. თეა წულუკიანი იბრძოდა, რომ არ დაენიშნათ მურუსიძე ამ პოსტზე, მაგრამ ვერაფერს გახდა, კოტე კუბლაშვილმა ისარგებლა ხელისუფლების უუნარობით და მურუსიძე იუსტიციის საბჭოს მდივნადაც გაიყვანა და ასევე, ამ საბჭოში კუბლაშვილს, ანუ „ნაციონალებს“ ხმათა უმრავლესობა აქვთ, 13 კაცია საბჭოში და 7 „ნაცმოძრაობის“ დამლით დადაღული, „ჯიბის მოსამართლეები“ არიან, მეშვიდე თავად კუბლაშვილია. მეტსაც გეტყვით. რამდენიმე მოსამართლეს უკვე ამოეწურა უფლებამისილების ვადა, მაგრამ არ მიდიან სასამართლო სისტემიდან. კანონის თანახმად, მოსამართლე სტატუსს ინარჩუნებს მანამ, სანამ არ დაასრულებს იმ საქმეს, რომელიც წარმოებაში აქვს. მოჩნდება, რომ სრულიად საკმარისი იქნება მათ წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის დასაწყებად, რასაც მათთვის მოსამართლის სტატუსის შეჩერება მოჰყვება. ამით „ნაციონალებს“ პოლიტიკური სისტემა დაეშლებათ, ხელიდან წაერთმევათ ერთადერთი სახელისუფლებო შტო – სასამართლო სისტემა, რომელსაც ასე ებღაუჭებიან. ამიტომ არის, რომ თეა წულუკიანი ამდენს ყვირის და კუბლაშვილს მუდამ უპირისპირდება.

**— მერე, ამ ხელისუფლებამ რატომ შეატოვა წულუკიანი ამ კუბლაშვილს მარტო? რატომ არ უდგანან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები გვერდით? ბოლოს და ბოლოს, სად არის პროკურატურა, ერთი მოსამართლე არ დაუჭერიათ დღემდე, არადა, საშინელებები აქვთ ჩადენილი.**

– თავი დავანებოთ ჯერ ამ დაჭერას, ნუ ვიხმართ ამ სიტყვას. ეჭვი მაქვს, რომ ასეთები იქნებიან და ძალიან ბევრნი, მაგრამ ხომ ხედავთ, დისციპლინარული დევნაც კი არ გადაწყვეტილია, 2015 წლის თებერვლამდე, ვიდრე უფლებამისილება არ ამოეწურება, ვერც ვერავინ შეეხება.

**რა ფორმით უშლის კოტე კუბლაშვილი თეა წულუკიანს ხელს რეფორმების გატარებაში? როგორ უნდა მოშორდნენ სისტემას დამნაშავე მოსამართლეები? რა განცხადებები შეიტანეს ადვოკატებმა პროკურატურაში და რა შემთხვევაში გაიფიცებიან?**

**„ალიას“ ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, არ მჯერა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას სასამართლოში რეფორმების გატარება უნდა, ამაში ხელს კოტე კუბლაშვილი უშლის და სხვა მიზეზები არ არსებობს. ამ თეა წულუკიანისა და კუბლაშვილის ეს მუდმივი პაექრობა კი პოლიტიკურ-სამართლებრივი პინგ-პონგის თამაში მგონია.**

– არა, მე ასე ვერ ვიტყვი. თეა წულუკიანი მართლა მოწადინებულია, სასამართლოში გაატაროს რეფორმები, მაგრამ კოტე კუბლაშვილი ეწინააღმდეგება ამ რეფორმებს. სამწუხაროდ, კუბლაშვილს საამისო ბერკეტები აქვს და მათ იყენებს რეფორმების შესაჩერებლად. მიუხედავად თეა წულუკიანის დიდი ბრძოლისა, მოსამართლეთა გარკვეული წრე შეიკრა, მათ მოახერხეს მურუსიძის იუსტიციის საბჭოს მდივნად ასეთ მოსამართლეებს ჩანიშნული აქვთ პროცესი, მიხვალ, რაღაც ცრუ მიზეზით გადაგიდებს, მერე კიდევ გადაგიდებს და არიან ასე, ხელფასსაც იღებენ და სტატუსიც აქვთ, ჯერჯერობით. მაგალითად, ასეთები სააპელაციო სასამართლოში ალექსანდრე იოსელიანი, ვანო წიკლაური და სხვები, ყველანი, ცხადია, „ნაციონალი“ მოსამართლეები არიან და ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავს უზენაესი სასამართლო. აბა, კუბლაშვილი საკუთარ მოსამართლეებს ხელს არ შეუწყობს, რაც შეიძლება მეტხანს დარჩნენ?

**— ბატონო შალვა, როგორ უნდა მოშორდნენ ამ ქვეყანას ეს დამნაშავე მოსამართლეები?**

– ესენი მოსამართლეები არ არიან, ესენი არიან „ნაციონალთა“ პარტიის იდეოლოგები, მათი დაკვეთის შემსრულებლები, ნოტარიუსები... იგივე ალექსანდრე იოსელიანი ავიღოთ. ის სააკაშვილის ფავორიტი მოსამართლე იყო და ისეთ საქმეებს აძლევდა განსახილველად, რომლებზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ კაცს. ამათი თავიდან მოშორება იმ რეფორმით შეიძლება, რომლის გატარებასაც წულუკიანი აპირებს. ვგულისხმობ 3 წლით მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას და მერე, ვინც ამ ვადას წარმატებით გაივლის, 10 წლით დაინიშნება მოსამართლედ. ამ 3-წლიან ვადაში, ამ მოსამართლეთა წარსულ საქმიანობას შეისწავლიან, მათ ძველ გადაწყვეტილებებს ამოსწევენ და იქ იმდენი კანონდარღვევა ალხორციელდება ასეთ მოსამართლეებზე. მე ის უფრო მწყინს, რომ თეა წულუკიანს პარლამენტი არ უჭერს სათანადოდ მხარს, როცა ეს სჭირდება ახლა. ეკა ბესელიამ, მანანა კობახიძემ და იმ უფლებადამცველებმა, რომლებიც დღეს დეპუტატები არიან, უნდა იაქტიურონ და გვერდით დაუდგნენ წულუკიანს. ხომ ხედავთ, უკვე შეტევაზეა კუბლაშვილი გადმოსული და წულუკიანს მოსამართლეებზე ზეწოლაში ადანაშაულებს? ისე, კუბლაშვილს თუ ჰგონია, რომ ის მოსამართლეები, რომლებსაც მისი დავალებით უამრავი უდანაშაულო ადამიანი ჰყავთ გამწარებული, მრავალი უსამართლო გადაწყვეტილება აქვთ გამოტანილი, მას თან გადაჰყვებიან, ძალიან შემცდარა. მოსამართლეები, მოვა დრო და ალაპარაკდებიან, იტყვიან ყველაფერს, რასაც მათ კუბლაშვილი ავალებდათ და აძალებდათ, კუბლაშვილის ბევრ ბინძურ დაკვეთას აეხდება ფარდა. უკვე შეტანილია ადვოკატების მიერ მოსამართლეთა წინააღმდეგ განცხადებები პროკურატურაში. იუსტიციის საბჭოშიც შესულია მრავალი განცხადება კონკრეტული მოსამართლეების უკანონობის ფაქტობრივი მტკიცებულებების თანხლებით, მაგრამ იუსტიციის საბჭოში ლევან მურუსიძე და საბჭოს „ნაციონალთა“ უმრავლესობა ბლოკავს ამ საქმეების გამოძიებას, ხოლო პროკურატურაში რა ხდება, ეს უკვე არ ვიცი. იმედია, გამოიძიებენ ამ საქმეებს და ბევრს მოუწევს თავის წარსულ დანაშაულზე პასუხისმგებლობა.

**— ბატონო შალვა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ თუ მართლა ლევენ მურუსიძის კანდიდატურა დადგა, რას აპირებთ ადვოკატები? მისი ამ პოსტზე დანიშვნა ნიშნავს, რომ სასამართლოს მართვას ისევ „ნაციონალები“ გააგრძელებენ რამდენიმე წლით, ისევ უკანონობა და სიბნელე იქნება ამ უპატრონო ქვეყანაში.**

– მაგის წარმოდგენა და გააზრებაც კი არ მინდა. კოტე კუბლაშვილის ასლი რომ არ უნდა მოვიდეს მის ადგილას, მაგისთვის ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია. ლევან მურუსიძის საწინააღმდეგო კამპანია უკვე დაწყებულია ადვოკატებშიც, მოსამართლეებშიც კი დაწყებულია უკვე ეს კამპანია. სისტემას შერჩენილია მოსამართლეთა 10-15%, რომელთაც კუბლაშვილის დანაშაულებრივი სისტემის პირობებშიც კი შეინარჩუნეს ღირსება და ეს ხალხი უნდა დარჩეს სასამართლო სისტემაში. ვერ გეტყვით, თუ ამ რეალობის წინაშე დავდექით, ადვოკატები გავიფიცებით თუ არა, რადგან ეს ხალხის დაცვის გარეშე დატოვებას ნიშნავს და მერე ნახეთ თქვენ უკანონო გადაწყვეტილებები და განაჩენები. თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ნაციონალებმა“ ეს გეგმა ვერ განახორციელონ და მურუსიძე არ დაინიშნოს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როდის გამოჩნდება თბილისში ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტობუსები?



დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერიის სამომავლო ინტერესებში შედის ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსების შეძენა, რომლებიც გაზზე ან ელექტროენერგიაზე იმუშავებენ.

„დღეისთვის ძირითადად დიზელის საწვავზე მუშაობენ ჩვენთან ავტობუსები. საკმაოდ ასაკოვანი სატრანსპორტო სისტემა გვაქვს და, შესაბამისად, არსებობს გამონაბოლქვის პრობლემა, რომელიც ჰაერს აბინძურებს. ჩვენ, მომდევნო პერიოდში, როცა შესაძლებლობა გვექნება და დავიწყებთ ავტობუსების ჩანაცვლებას, რა თქმა უნდა, უფრო თანამედროვე ავტობუსებს შევიძენთ. ეს იქნება ალტერნატიულ ენერგიაზე – გაზზე, ან ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტობუსები, რომლებიც ეკოლოგიურად უფრო სუფთა იქნება. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკები გვაქვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, რომელიც დაგვეხმარება შესაბამისი კვლევის გაკეთებასა და შემდეგ დაფინანსების მოძიებაში“, – აღნიშნა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შემოსავლების სამსახურის უფროსად გიორგი თაბუაშვილი ინიშნება



ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასამტკიცებლად პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, გიორგი თაბუაშვილის კანდიდატურა წარუდგინა, რომელიც ამავე დროს, კანონმდებლობის დაცვით, კვლავ გააგრძელებს მინისტრის პირველი მოადგილის უფლებამოსილების შესრულებას.

თაბუაშვილს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა 2013 წლის იანვრიდან უკავია. მიღებული აქვს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ილინოისის უნივერსიტეტში, აგრეთვე პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში.

სამსახურის ყოფილი უფროსი ირაკლი გვარამაძე, რომელსაც აღნიშნული პოსტი მიმდინარე წლის თებერვლიდან ეკავა, მუშაობას სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გააგრძელებს. (ნიუპოსტი)

## „ახალი საპატრულო ავტომობილების ხარჯი თვეში 4 მილიონს აჭარბებს“




ადვოკატ გიორგი ონიანის განცხადებით, ახალ საპატრულო მანქანებთან დაკავშირებულ ხარჯებზე საუბრობს და აცხადებს:

„ერთი ახალი ავტომობილი წვავს 15 ლიტრით მეტს ას კილომეტრზე ძველ ავტომობილთან შედარებით. თითო ავტომობილი დღის განმავლობაში გადის 400 კილომეტრს. ქალაქში დადის 110 ავტომობილი და ეს ხარჯი თვის განმავლობაში შეადგენს 4 მილიონ 752 ათას ლარს“, – განაცხადა გიორგი ონიანმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# რა იცვლება სასკოლო და ეროვნულ გამოცდებში?

**რა მოვლენები იგეგმება განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული მიმართულებების პროექტის მიხედვით? როდიდან შემცირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების რიცხვი? გაუქმდება თუ არა უნარებისა და ინგლისურის გამოცდები? რა ელით პროფსასწავლებლებს?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში, მანანა ნიკოლაიშვილი:**

**— წინა ინტერვიუში განათლების სტრატეგიული გეგმის ერთი ნაწილი განვიხილეთ. კიდევ რა წერია გეგმაში?**

– ეს გეგმა, მოგეხსენებათ, ათ წელიწადზეა გათვლილი, 2024 წლამდეა და სასკოლო განათლების მიმართულებით ძალიან დიდი სიახლეა დაგეგმილი. კერძოდ, 2016 წლიდან ამ გეგმის მიხედვით, უნდა მოხდეს სასკოლო გამოცდებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ოპტიმიზაცია. ანუ ერთმანეთს შეერწყმება სასკოლო გამოცდებიც და ერთიანი ეროვნული გამოცდებიც. დარჩება სასკოლო საატესტატო გამოცდები, ოღონდ ამას სხვა ფორმა და ფორმატი ექნება. გამოცდები, სავარაუდოდ, სკოლაში ჩატარდება და ამ გამოცდებს მისაღები გამოცდების დატვირთვა ექნება. დეტალურად, ფორმატი როგორ იქნება ამ გამოცდების, ჯერ თვითონაც არ იციან განათლების სამინისტროში. გეგმის პრეზენტაციაზე დეტალურად არ უსაუბრიათ ამაზე და თუ თავად ამ სტრატეგიულ გეგმას ნახავთ, იქაც ამაზე მეტი არაფერი წერია. მთავარია, რომ გლობალური საკითხი გადაწყდა: მოხდეს გამოცდების ოპტიმიზაცია. ამავე დროს ამ სასკოლო-საატესტატო გამოცდების მიხედვით მოხდება ახალგაზრდების ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

**— და ამ ცვლილებას როგორ აფასებთ?**

– დადებითად. რამდენი საგანი იქნება ჩასაბარებელი და როგორ დაალაგებენ ამ ცვლილებას, ეს წინ გვაქვს, მაგრამ ესაა ძალიან დიდი ცვლილება და მივესალმებით, რომ დარჩება მხოლოდ ერთი სახის გამოცდა, რადგანაც არ შეიძლება ერთი თვის მანძილზე ბავშვს აბარებინო სასკოლო გამოცები, მერე კიდევ ერთიანი ეროვნული გამოცდები, რაც არაფრის მომცემია და გარდა ფსიქოლოგიური და ნერვული სტრესისა, ამავე დროს ესაა ძალიან დიდი ფინანსური ფლანგვა და მილიონების წყალში ყრა. ამ პროცესს ხომ სჭირდება მეთვალყურეები, გამოცდის ნაწერების გამსწორებლები, მივლინებები, კვების თანხები, კომპიუტერული მომსახურება? ეს ჯდება მილიონები. ან კატის გამოცდებს რა მოაქვს ბავშვებისთვის, ან ამ ერთიან ეროვნულ გამოცდებს? ეს დადებითია-თქო ვთქვი, მაგრამ რაც არ უნდა შერწყმა მოხდეს, მაინც სხვა ფორმაა საჭირო გამოცდების.

**— რას გულისხმობთ?**

– რას და, სადაც ბავშვი აბარებს და რა პროფესიაც აქვს არჩეული, თითოეულ ფაკულტეტზე ის საგნები უნდა ბარდებოდეს, რასაც შემდეგ ის ისწავლის.

**— და ხომ არის სავალდებულო საგნები, რომელიც უნივერსალურია, ასეთად რა უნდა დარჩეს?**

– ქართული წერა. უნარებისა და ინგლისურის გამოცდა უნდა მოიხსნას. ამას ვამბობ გამომდინარე იქიდან, რაც წლების გამოცდილებამ გვანახა. უმაღლესი სკოლის დამანგრეველი გახდა საგნის არჩევითობა, რადგანაც ყველა ირჩევს ბიოლოგიას და გეოგრაფიას. მაგალითად, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ტექნიკურ საგნებს უნდა აბარებდნენ, რადგანაც უამრავი ტექნიკური ფაკულტეტია, ასევე აგრარულ უნივერსიტეტში, ასევე სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტში და რატომ უნდა გქონდეს არჩეული ეს ორი საგანი? რადგანაც შედარებით ადვილი საგნებია? და ამ დროს ფიზიკა, ქიმია გვერდზე რჩება, რაში სჭირდება ინჟინერს გეოგრაფია და ბიოლოგია?

**— სხვა რა ცვლილებებია კიდევ მოსალოდნელი ახალი გეგმის მიხედვით?**

– სიახლეებია ის, რომ მოხდება სტანდარტების გადამუშავება. აქედან გამომდინარე, იქნება ახალი პროგრამები, გამოცხადდება ახალი კონკურსები და ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნება. მაგრამ ჩემი აზრია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა რადიკალურად უნდა შეიცვალოს, თორემ არაფერი გამოვა. ეს ის მთავარი საკითხები იყო, რაც შეეხებოდა სკოლას.

ახლა გეტყვით, რა ხდება პროფესიული განათლების კუთხით: პროფესიული განათლების მხრივაც იგეგმება ცვლილებები, მაგრამ რაც ვთქვით სკოლამდელი აღზრდის შესახებ, რომ სისტემა უნდა შეიცვალოს მთლიანად, რადგანაც ხელმიუწვდომელია ბაღებში ბავშვების მოხვედრა, ასევე ხელმიუწვდომელია პროფესიული განათლებაც. თავად განათლების ხარისხი უდაბლესია, ქვეყანაში 19 პროფესიული სასწავლებელია სახელმწიფოს დაფინანსებით და რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, ორი სასწავლებელი დაფუძნდა კიდევ, მაგრამ ჯერ არ არის ამუშავებული, და, პრაქტიკულად, ვერ ვიტყვით, რომ აქ რაიმე ხელმოსაჭიდია გაკეთებული. ძალიან ცუდი ფაქტია ის, რომ სტრატეგიულ მიმართულებებში უნდა იყოს დასახელებული, წლების განმავლობაში რამდენ პროფესიულ სასწავლებელს ააშენებენ კიდევ, ან რამდენი კოლეჯი იქნება, ესაა საინტერესო და ამას არ წერენ. როცა ეს ვიკითხე, ამის შესახებ მითხრეს, ამას ვერ ვიტყვით წინასწარ, რადგანაც დამსაქმებლებმა და ბიზნესმენებმა უნდა თქვან თავისი სიტყვაო. ამ დროს, პირიქით, სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს, რადგანაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კუთვნილი არ არის მარტო ეს მიმართულებები, კეთილი უნდა ინებოს საქართველოს მთავრობამ და მან უნდა უთხრას ხალხს და უნდა ჩაიწეროს პროექტში, მერე ძირითად დოკუმენტში უნდა მოხვდეს ის ძირითადი დებულება, რეალურად, სახელმწიფო რამდენ „პროფს“ ააშენებს.

**— კი, მაგრამ კერძო სასწავლებლებიც ხომ არის, ანუ კერძო პროფტექნიკური სასწავლებლები?**

– ეს კერძო „პროფები“ ვერ მუშაობენ, რადგანაც ძალიან ძვირი ღირს სწავლა, საჭიროა მასალა და სამუშაო ტექნიკა. ასე რომ, სახელმწიფოს გასაკეთებელია ეს საქმე. ეს ყველაფერი დოკუმენტში თუ არ ჩაიწერა, ეს სტრატეგიული გეგმა დარჩება ვარდისფერი სათვალით დანახულ ზღაპრად, რომელიც ქვეყნისთვის არაფრის მომტანი არ იქნება. აქ ყველაფერი უნდა იყოს გაწერილი წლების მიხედვით, რომელ წლებში რა აშენდება და ეს უნდა დაგეგმოს მთავრობამ, რადგანაც თუ შრომის ბაზარი არ იქნა გამოკვლეული და თუ ბიზნესი არ ჩაერთო ამაში, ჩვენ საერთოდ არ გვეტყობა კვალიფიციური მუშახელი, ისე, როგორც დღეს. კვალიფიციურ მუშახელს სანთლით რომ ვერ იშოვნი და უცხო არავისთვისაა, რომ საქართველოში დღეს მუშებად თურქი, ჩინელი და მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები მუშაობენ.

**— გასაგებია, რომ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების პროექტი გამოტანილია საყოველთაო განხილვისათვის და საინტერესოა, თქვენი შენიშვნები და ზოგადად შენიშვნები იქნება განხილული?**

– ჩვენ ექსპერტები ვაწვდით ამ შენიშვნებს და ისიც გვაქვს მითითებული, რომ შრომის სამინისტრო ჯანდაცვას უნდა გამოეყოს, რადგანაც ჯანდაცვას გადაფარული აქვს შრომის საკითხები და ამ მხრივ სახელმწიფოში არაფერი კეთდება.

**— ჩვენ ვისაუბრეთ პროფტექნიკური სასწავლებლების ახალი შენობების აშენებაზე და ძველი შენობები რომ დაანიავეს და გაყიდეს, იმის დაბრუნებაზე არაფერია ნათქვამი მაგ სტრატეგიის პროექტში?**

– ეგ კაი საკითხი გამახსენეთ, ხელისუფლება მაგაზე არანაირად არ ფიქრობს. „ოცნება“ რომ მოვიდა სათავეში, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ივანიშვილის დონეზე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, ამაში უნდა ჩართულიყო, რა თქმა უნდა, არასამთავრობო სექტორიც და ერთად უნდა განხილულიყო დატაცებული სახელმწიფო ქონების დაბრუნების საკითხი. ეს ხომ არ იყო ვიღაცის პირადი ქონება? ბაღების, „პროფების“, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართები ამ კომისიას უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოსთვის. ეს არ გააკეთა ამ ხელისუფლებამ, მოგვატყუა. რომ შექმნილიყო ეს სახელმწიფო კომისია, ის კარგად ნახავდა, თუნდაც ვის ბაზაზეა კერძო „პროფები“, გაარკვევდა, ხომ არ არის უკანონოდ მიტაცებული სახელმწიფო შენობები? გეუბნებით, ამ ხელისუფლებას ეს საკითხი არ აინტერესებს და ამიტომ ხალხმა უნდა მოიყვანოს ის ხელისუფლება, ვისაც ეს დააინტერესებს და ამ საკითხს დაადგენს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სააკაშვილის განცხადება არის უპასუხისმგებლო“



თავდაცვის სამინისტრო ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმაურება.

„ექსპრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართველი ოფიცრები მზად არიან დატოვონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და სამსახური გააგრძელონ სხვა ქვეყანაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ოფიცრებმა დატოვეს ქვეყანა და სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს სამსახური.

ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფება საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც წლების წინათ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ამჟამად, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხებიან.

ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი ოფიცრები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ არ შეწყვეტენ საკუთარი სამშობლოს, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. ისინი იცავდნენ და ყოველთვის დაიცავენ საქართველოს. მაშინ, როდესაც თვალნათლივ გამოხატულია თავდაცვის სამინისტროს უცვლელი კურსი ნატო-სკენ, მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი, მაღალი დონის შეხვედრები, ყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და საზოგადოება. ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება არის უპასუხისმგებლო, გაუმართლებელი პროპაგანდა, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იარაღს ჩაგიდებთო...“



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადებით, უკრაინიდან საქართველოს მოქალაქე გიორგი ბერიძე ორგანიზაციას დაუკავშირდა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იძულებით იმყოფება. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოქალაქეს საქართველოს დატოვება აიძულეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას იარაღის ჩადებით დაემუქრნენ.

ბერიძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ ქურდული სამყაროს წევრობისთვის იხდიდა სასჯელს, საქართველოში დაბრუნდა. გიორგი ბერიძის განმარტებით, ის ჩამოსვლისთანავე მიიყვანეს აჭარის შსს სამმართველოში და როგორც ნასამართლევ პირს, ქვეყნის დაატოვება მოსთხოვეს. „არანაირი განმარტება, თუ არ დატოვებთ საქართველოს, ჩაგიდებთ იარაღსო. 5 სექტემბრის მერე ჩამოდიო. ჩამოვედი 7 სექტემბერს, დამიჭირეს აქ და თურქეთში გადამაგზავნეს. არ იცხოვრებ საქართველოშიო, ეს იყო მაგათი პასუხი... მოვიდა თამაზაშვილი და შეიქმნა ეს პრობლემები... მინისტრი პირადად არის საქმის კურსშიო, მინისტრის გარეშე არაფერი არ ხდებაო“, – აცხადებს ბერიძე.

ბერიძის თქმით, მას იარაღის ჩადებით აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ლევან ხარაბაძე, დაემუქრა.

საია მოუწოდებს პროკურატურას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს. (ნიუპოსტი)

## „ქვეყანაში გადაწყვეტილებებს მხოლოდ ივანიშვილი იღებს“



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებულ ცვლილებებს ეხმაურება და ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების უკან ბიძინა ივანიშვილის დგას.

„თანამდებობები დატოვეს ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის უახლოესმა წევრებმა. ეს ხალხი უშუალოდ ღარიბაშვილთან ძალიან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და კიდევ ერთხელ ძალიან აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებებს და ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილია. მიმდინარე მოვლენებს შეიძლება ეწოდოს ღრმა სახელისუფლებო კრიზისი“, – განაცხადა აბაშიძემ. (ნიუპოსტი)



# რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, რომ ინტერპოლით ძებნილი დათა ახალაია უკრაინაში თანამდებობაზე არ დაინიშნოს?

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალექსანდრე კვიტაშვილის შემდეგ უკრაინის მთავრობაში შესაძლოა, საქართველოს წინა ხელისუფლების კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი დაინიშნოს. ექსმინისტრი ეკა ტყეშელაშვილი შესაძლოა, უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილე გახდეს. უკრაინის ძალოვან უწყებაში ერთ-ერთ თანამდებობაზე განიხილება შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, დათა ახალაიას კანდიდატურა, რომელიც ინტერპოლის „წითელი ცირკულარის" ხაზით იძებნება.

**თუკი ახალაია მართლაც ინიშნება თანამდებობაზე, როგორ არეგულირებს მსგავს საკითხებს საერთაშორისო სამართალი და რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა მხარემ?**

**„ალიას" საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, პაატა ცნობილაძე ესაუბრა:**

**— ბატონო პაატა, საერთაშორისო სამართლით როგორ არის განსაზღვრული — წითელი ცირკულარით ძებნილი პირის სხვა ქვეყანაში თანამდებობაზე დანიშვნა შესაძლებელია?**

– ეს უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე სამართლებრივი. ქვეყანა ინდივიდუალურად წყვეტს, როგორ მოიქცეს, მიუხედავად იმისა, მიერთებულია თუ არა ის 1957 წლის კონვენციას ექსტრადიციის თაობაზე. უკრაინამ გადაწყვიტა, რომ ასეთი ხალხი დანიშნოს თანამდებობებზე და ეს მისი შიდა სუვერენული უფლებაა. ამაში ვერავინ ჩაერევა. თუმცა, საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, წამგებიანია.

**— როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეს ნიშნავენ თანამდებობაზე, მის შესახებ ინფორმაცია არ უნდა გადაამოწმონ?**

– ეს ამ სახელმწიფოს შიდა პოზიციაა და რამდენად სჭირდება მას ისეთი ჩინოვნიკი, რომელიც ამ სახელმწიფოს საზღვრების დატოვების შემთხვევაში შეიძლება დააკავონ, მისი პრობლემაა. თუმცა, ეტყობა, მთლად კარგად ვერ ან არ ეძებენ ამ ცირკულარით მითითებულ პირს, თორემ ახლა არ დადგებოდა ეს საკითხი დღის წესრიგში. რაც შეეხება ინფორმაციის მოძიებას, ესეც უკრაინის შესაბამისი სტრუქტურების პრეროგატივაა. როგორ გგონიათ, არ იციან ეს ინფორმაცია? მაგრამ ჩვენი შესაბამისი უწყებების უნიათობის გამო მათ ხომ პოლიტიკური დევნილების მანტია მოირგეს და ამ მიზეზით უკრაინაც სარგებლობს. ისინი, ალბათ, ეყრდნობიან საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას და პოლიტიკურ დევნილად ასაღებენ ახალაიას. სააკაშვილის განცხადებით, ის ხომ „რეფორმატორთა" გუნდის ერთ-ერთი მოწინავე წევრი იყო. უკრაინა ამ ნაბიჯით პირდაპირ ხელთათმანს ესვრის საქართველოს ხელისუფლებას და ეუბნება, ფეხებზე გვკიდია თქვენი გადაწყვეტილებებიო.

**— როგორ უნდა მოიქცეს ქართული მხარე, თუკი მართლა გადაწყდა ახალაიას დანიშვნა?**

– ამას უნდა მოჰყვეს საგარეო უწყების რეაგირება და შესაძლებელია, ნოტაც გაიგზავნოს მეორე მხარეს, თუმცა, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იქნას ექსტრადიციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. პროკურატურამ უნდა მოამზადოს არსებული მასა და იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით უკრაინის შესაბამის ორგანოებს გააცნოს მათი შინაარსი. ეს არის და ეს, რაც საქართველოს მხარეს შეუძლია. ამის შემდეგ, ხელისუფლებამ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა გზას დაადგება უკრაინასთან მიმართებაში. ეს პროცესი ვერ შეჩერდება მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით. ამ საკითხში გადამწყვეტი ხმა იმ ქვეყანას უფრო აქვს, ვინც უნდა მოახდინოს პირის ექსტრადირება. ახლა თავში ცემა დაგვიანებულია. უბრალოდ, შესაბამისი ორგანოები ცოტა უნდა გააქტიურდნენ და ხმა მიაწვდინონ ყველას, რაშიც არის საქმე, თორემ თავად მათ არ დაესიზმრებათ, ვინ ვინაა და რისთვის არიან მოხვედრილნი წითელ ცირკულარში ცალკეული პირები.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრემიერისგან ვიღებ შენიშვნებსაც, ინსტრუქციებსაც და დავალებებსაც"



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის თქმით, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი მთავრობიდან წავიდა, მისგან არანაირი ინსტრუქციები არ მიუღია.

„ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი მინისტრობის პერიოდში, რაც ივანიშვილი აღარ არის პრემიერი, მისგან არ მიმიღია და არ ვიღებ ინსტრუქციებს. იუსტიციის სამინისტროს ჰყავს ერთი დე ფაქტო და დე იურე მინისტრი, ეს გახლავართ მე. ამ მთავრობას ჰყავს ერთი დე ფაქტო და დე იურე პრემიერი, ეს გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი. დიახ, მე მისგან ვიღებ შენიშვნებსაც, ინსტრუქციებსაც და დავალებებსაც, რომელსაც ვასრულებ", – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ლაფანყურის საქმე კარგად გამოძიებულიყო"



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ ე.წ. ლაფანყურის საქმესთან დაკავშირებით გარკვეული განმარტებები გააკეთა. ჯანელიძის განცხადებით, ის ლაფანყურის საქმის გამოძიების პროცესში ჩართული იყო, თუმცა უკვე ერთი წელია, რაც ამ საქმეს სამსახურის შეცვლის გამო ჩამოსცილდა.

თავდაცვის მინისტრი, ლაფანყურის საქმის გამოძიების პროცესის გაჭიანურების შესახებ გაკეთებულ განცხადებებსაც გამოეხმაურა:

„უბრალოდ, ცოტა უხერხულია აბსურდულ განცხადებებზე კომენტარების კეთება, თუმცა მე გეტყვით, რომ ეს საკითხი არის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის კომპეტენციის სფერო. უკვე ერთი წელია, მე ჩამოშორებული ვარ ამ საქმეს, რადგან თანამდებობა შევიცვალე, ცოტა რთულია ჩემთვის იმაზე საუბარი, რა მდგომარეობაშია გამოძიება, როდის გაიხსნება საქმე და ასე შემდეგ. მე ვიყავი იმ დანაყოფის ხელმძღვანელი, რომელიც იძიებდა ამ საქმეს და სხვათა შორის ყველაფერს ვაკეთებდით, რომ კარგად გამოძიებულიყო", – განაცხადა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

# რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ინვესტიციების მოსაზიდად?



ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით გარკვეული ტიპის ცვლილებებია საჭირო. „ეს ცვლილებები უკავშირდება, როგორც ეკონომიკურ პრიორიტეტებს, ასევე ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს იმ გართულებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და გაუარესებულ მაკროეკონომიკურ ტრენდზე, რაც ქვეყანაშია. სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს და გააგრძელოს ბიზნესსა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ლიბერალურ პრინციპს და გულისხმობს მეტ თავისუფლებას ბიზნესისთვის. საბოლოო ჯამში, ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების გენერირება ხდება არა სახელმწიფოს, არამედ ინვესტორებისა და ბიზნესის მიერ".

**კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით? რა ნაბიჯებია გადასადგმელი, რომ ინვესტიციები შემოვიდეს?**

**„ალიას" ლევან კალანდაძე ესაუბრა:**

– ბიზნესგარემოსთან და საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებული თემა არ გულისხმობს რომელიმე კონკრეტულ ინიციატივას, ეს არის ძალიან კომპლექსური თემა და ზოგადად ხელისუფლების ბიზნესზე და საინვესტიციო საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს. შესაბამისად, რამე ერთი კონკრეტული საკითხის გამოყოფა სწორი არ იქნება. ხელისუფლება ჰიპერაქტიური უნდა გახდეს საინვესტიციო პოლიტიკის გატარების კუთხით.

**— რა უნდა გააკეთოს კონკრეტულად, რა გაქვთ მხედველობაში?**

– ხელისუფლება აღიარებს, რომ გარკვეულწილად მენეჯმენტის პრობლემა აქვს. თავად პრემიერის განცხადებას შეგახსენებთ, რომ რიგი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას, სახელმწიფო უწყებათაშორისი კოორდინაციის პრობლემაც კი დგას. საქართველოში დღეს ბევრი საინვესტიციო პროექტია, რომელიც შეფერხებულია იმის გამო, რომ სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდა საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით. შესაბამისად, გარკვეული ხელოვნური ბარიერები, კოორდინაციის არარსებობა, ინვესტორებს ძალიან ნეგატიურად განაწყობს გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ საქართველო დაინახონ, როგორც ინვესტიციების განხორციელებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ქვეყანა. ხელისუფლება უნდა გახდეს კონკრეტული საინვესტიციო პროექტების, კონკრეტული ბიზნეს და საინვესტიციო ქეისების ლობისტი და პრობლემების მომგვარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ინვესტორებმა სამინისტროდან სამინისტროში ფურცლებით ირბინეს გარკვეული ნებართვების მისაღებად და ამაში დახარჯეს უამრავი დრო, მსხვილი ინვესტორებისთვის საქართველო მიმზიდველ ქვეყნად ვერ ჩამოყალიბდება.

გარდა ამისა, მოსაგვარებელია გარკვეული რეგულაციების საკითხი. მხედველობაში მაქვს ვიზების საკითხი, ასევე მიწის თემა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი. ასევე, მხედველობაში მაქვს საგადასახადო კოდექსი, ყველაფერი უნდა იყოს მორგებული ინვესტორის კომფორტსა და საჭიროებებზე. რატომღაც გაურბიან და ეშინიათ იმაზე საუბარი, რომ ინვესტორის კომფორტზე უნდა გახდეს პოლიტიკა ორიენტირებული. სამუშაო ადგილების შექმნა, ბიუჯეტში შემოსავლების საკითხი, სახელმწიფოს კომპეტენცია კი არ არის, არამედ ბიზნესის კომპეტენციაა. აქედან გამომდინარე, ეს თემები თუ არ იქნება პრიორიტეტული, გრძელვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტსაც კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნება.

აქ ერთი საინტერესო საკითხიც დგას, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი ბენეფიტი მიიღო რეგიონში ევროპასთან გამარტივებული საბაჟო ურთიერთობების ფორმატში ჰქონდეს ეკონომიკური და ბიზნესურთიერთობები, ამ შესაძლებლობას სჭირდება გამოყენება. იმისთვის, რომ საქართველოში მსხვილი საინვესტიციო პროექტები განხორციელდეს, რომელიც პროდუქციის საქართველოში წარმოებასა და ევროპაში ექსპორტზე იქნება ორიენტირებული, ამას სჭირდება უცხოური კაპიტალი. საქართველოში არსებული ფინანსური რესურსი, მათ შორის განათლებისა და ინტელექტუალური რესურსი, სამწუხაროდ, არ არსი საკმარისი, რომ ასეთი მასშტაბური პროექტები განვახორციელოთ.

**— აცხადებთ, რომ სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს და გააგრძელოს ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ლიბერალურ პრინციპს და გულისხმობს მეტ თავისუფლებას ბიზნესისთვის. რას გულისხმობთ?**

– ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესში უნდა იყო მინიმალური. დღეს სახელმწიფოს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ვალდებულება და პასუხისმგებლობა აქვს აღებული საკუთარ თავზე. ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთან სამინისტროს ქოლგის ქვეშ რამდენი ისეთი საწარმო არსებობს, რომელზე გადაფარებაც არ არის სახელმწიფოს ფუნქცია. ბიზნესი არ არის სახელმწიფოს საქმე, სახელმწიფოს საქმეა პოლიტიკის შექმნა.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

# „თავისუფალი საქართველო“ და „ლეიბორისტები“ პრემიერის და 3 მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციებს იწყებენ



პარტია „თავისუფალი საქართველო“ მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და პრემიერის გადადგომას მოითხოვს. „ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური კრიზისია. უმუშევრობის მაღალი დონე, გაუსაძლისი სიღატაკე სოფლად, თუ ქალაქად, ადგილობრივი საწარმოების არარსებობა, ექსპორტ-იმპორტს შორის არსებული მძიმე უარყოფითი სალდო, მონოპოლიების მიერ ხელოვნურად აწეული სამომხმარებლო ფასები აუცილებელი მოხმარების საგნებზე. აი, არასრული სია ეკონომიკური პრობლემებისა, რომლის მკვდარი წერტილიდან დაძვრაც ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. ამ ყველაფერს მოულოდნელად დაემატა ლარის მყისიერი დევალვაცია. „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურ საბჭოს მიაჩნია, რომ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ეკონომიკური გუნდის (ფინანსთა, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის მინისტრების) გადადგომა, პრემიერ ღარიბაშვილის მეთაურობით“.

**რას აპირებს ოპოზიცია, თუკი მინისტრები არ გადადგებიან? ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს „თავისუფალი საქართველო“? რა მოთხოვნას წამოაყენებს პარლამენტარი მურმან დუმბაძე?**

**„ალიას“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივანი, ალექსანდრე შალამბერიძე ესაუბრა:**

**— ბატონო ალექსანდრე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გასაგებია, რატომ ითხოვთ მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადადგომას, მაგრამ პრემიერ-მინისტრს რას ერჩით?**

– ღარიბაშვილშია სწორედაც უპირველესი პრობლემა, იმიტომ, რომ მან ვერ მოახერხა ეკონომიკური გუნდის გაერთიანება და სწორი ეკონომიკური კურსის ჩამოყალიბება. ამიტომ მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად პრემიერ-მინისტრიც უნდა წავიდეს. ის, რომ შექმნილ სიტუაციაში, დამნაშავეების ძებნა დაიწყო გარეთ და თქვა, რომ აჟიოტაჟს ვქმნით ჟურნალისტები და პოლიტიკური პარტიები, აჩვენებს, რომ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის არანაირი ხედვა არ არსებობს ხელისუფლებაში. ქვეყანას სჭირდება კარდინალური ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკური ცვლილებები და ამას პრემიერ-მინისტრი, თავის ეკონომიკურ გუნდთან ერთად ვერ შეძლებს.

**— ეს მხოლოდ თქვენი პარტიის მოთხოვნაა, თუ სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან გაქვთ ამ საკითხზე მოლაპარაკება?**

– მოლაპარაკება გვქონდა „ლეიბორისტულ პარტიასთან“, შეთანხმებულ ვართ მათთან ამ საკითხზე და უფრო მეტიც, ჩვენ შეთანხმებული ვართ და ვითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მურმან დუმბაძე წამოაყენებს ამ საკითხს და მასთანაც გავქვს საუბრები.

**— თუ არ გადადგნენ მინისტრები, რას აპირებთ, რამე გაქვთ დაგეგმილი?**

– არ გამოვრიცხავ ქუჩის აქციებს. როდის აფეთქდება სიტუაცია, არავინ იცის. ჯერ ახალი წლებია, ჩაივლის და გაზაფხულისთვის აუცილებლად დაიძაბება სიტუაცია. მანამდე მოვუწოდებთ და აქვთ შანსი, რამე შეცვალონ. ჩვენ უკვე ვამზადებთ საზოგადოებას, რომ საჭიროა მთავრობის შეცვლა. ჩვენი ამოცანაა, დრო არ დავკარგოთ.

**— ისე, რა აზრი აქვს თქვენს მოთხოვნებს?! როდის ყოფილა, არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნაზე ვინმე გადამდგარიყოს?**

– ჩვენ გვაქვს გამოცდილება, როცა ხელისუფლებისგან რამეს ითხოვს არასაპარლამენტო ოპოზიცია, მთავრობის წევრები ჯიქდებიან, ესენი ვინ არიან, არასაპარლამენტო ოპოზიციას ვინ ჰკითხავსო?! ეს მიდგომა არსებობს. ჩვენ ნახევრად საპარლამენტო მოდელზე გადავედით და ეს უფრო ხელსაყრელ პირობას ქმნის, რომ უფრო მარტივად ვცვალოთ მთავრობა, ისე რომ სახელმწიფოს მეთაური არ შეიცვალოს. პრემიერის ცვლილება, კრიზისულ სიტუაციაში არის კონსტიტუციური მოთხოვნა და ამ კონსტიტუციური უფლებამოსილების გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ამას არასაპარლამენტო ოპოზიცია ამბობს, დიდებული მექანიზმია. ვიბრძოლებთ, რომ დავძლიოთ ეს მიდგომა – „ვინ ჰკითხავს არასაპარლამენტო ოპოზიციას?!“ ბრძოლას აქვს აზრი, ეს დაადასტურა სააკაშვილის პერიოდში ბრძოლის შედეგებმა. მაშინაც იყო საუბარი, ვინ ეკითხებათო ამათ, რომ სუსტია ოპოზიცია, მაგრამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და არ არის სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაში. ასე იქნება ახლაც, რაც არ უნდა იძახონ, რომ ოპოზიცია სუსტია და ა.შ. ეს ამბავი მაინც დასრულდება ხელისუფლების ცვლილებით.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, ქართული სპეცსამსახურების ინსტიტუციონალურ ჩამოყალიბებასა და განვითარებას“.

პრემიერის თქმით, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისთვის საქართველოს ძლიერი დაზვერვის სამსახური სჭირდება. საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და საქართველოს ხელისუფლების წინმსწრები ინფორმირებულობა რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

„გასულ წლებში საქართველოს დაზვერვის სამსახურს არ ჰქონდა ხელისუფლების სათანადო მხარდაჭერა. რომ არა ამ სამსახურის მიმართ მათი არაჯეროვანი დამოკიდებულება, ჩვენი ქვეყანა ბევრ დიდ პრობლემას აიცილებდა თავიდან. დღეს საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს დაზვერვის სამსახურის გამართულ და ეფექტურ მუშაობას, რადგან ეს სამსახური უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პარტნიორ სპეცსამსახურებთან ინტენსიური კავშირების განვითარებას, ასევე, სადაზვერვო საქმიანობის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, თავდაცვის სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მთავრობამ ჟენევის ფორმატი რუსეთზე ზეწოლის ინსტრუმენტად უნდა გამოიყენოს“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას თქმით, საქართველოს მთავრობამ უნდა იმუშაოს იმისთვის, რომ ჟენევის ფორმატი რუსეთის ფედერაციაზე ზეწოლის ინსტრუმენტი იყოს. მისი თქმით, ქვეყნისთვის ჟენევის ფორმატის შენარჩუნება მნიშვნელოვანია.

„არც ერთი კარგი ფორმატი არ არის არაფრის მომტანი თუ მთავრობა არ არის მოწადინებული, არ არის ფორმაში და არ აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები. ჩვენი მთავრობის ამოცანა უნდა იყოს, რომ იმუშაოს ყველა პარტნიორთან, რათა ჟენევის ფორმატი იყოს ზეწოლის ინსტრუმენტი რუსეთის ფედერაციაზე და არა პირიქით. დღის წესრიგში ის კი არ უნდა იდგეს, რომ საქართველო ვითომ რაღაც დოკუმენტს ბლოკავს, რომელიც თანათავმჯდომარეებმა მოამზადეს, პირიქით, რუსეთი უნდა იყოს წნეხის ქვეშ, რაც არის ნაწილი გრძელვადიანი სტრატეგიისა და საბოლოო ჯამში, უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემა საერთაშორისო ზეწოლის მეშვეობით“, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

# რისთვის დასჭირდა კახა კალაძეს ხუდონჰესზე განცხადების გაკეთება?



ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, „ხუდონჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ინდურ კომპანია „ტრანსელექტრიკასთან“. „ჩვენ მოვთხოვეთ, რომ სრულიად გამჭვირვალედ წარიმართოს ყველანაირი პროცესი. ეს კომპანია დარეგისტრირებული იყო ოფშორში, ჩვენ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყველაფერი იყოს გახსნილი, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესი ამ პროექტთან მიმართებაში ძალიან მაღალია და დაფარული არაფერი უნდა იყოს. მოვთხოვეთ, წარმოადგინონ, ვინ არიან დამფუძნებლები და ასევე, გვინდა დაგვანახონ შესაძლებლობა, შესწევთ თუ არა ამ პროექტის განხორციელების უნარი... ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზეც, ხომ არ დავიბრუნოთ სახელმწიფომ ეს პროექტი და თვითონ სახელმწიფომ განახორციელოს ეს პროექტი, მისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე“.

**რამდენად შესაძლებელია ამ პროექტის განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან? იქნება თუ არა ის მომგებიანი? ღირს იმ ვალის წამოკიდება, რასაც ამ პროექტისთვის სახელმწიფო აიღებს?**

**„ალიას“ ენერგეტიკის ექსპერტი, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი მანანა ქოჩლაძე ესაუბრა:**

**— ქალბატონო მანანა, როცა სახელმწიფოს ასეთი ფინანსური კრიზისი აქვს, რამდენად შესაძლებელია ამ დონის ჰესის აშენება, რა საშუალებებით?**

– მგონია, რომ პროექტი ნებისმიერ შემთხვევაში არის გაუმართლებელი, ეკონომიკური მიზანშეწონილობა დასაბუთებული არაა, ეს ჩვენ არ გვინახავს. თუ ზოგადად ეს ეკონომიკური მიზანშეწონილობა არ არსებობს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ააშენებს. ეკონომიკურად, სოციალურად და გარემოსდაცვითად არანაირ მოგებას არ ვიღებთ. რასაც ეგენი ამბობენ, რომ ყველაფერი უსაფრთხოა, ასე არაა. 3 წელია, ამბობენ, რომ 2 კვირაში დადებენ დოკუმენტებს, რომ ყველაფერი წესრიგშია და ჯერ არ წარმოუდგენიათ. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან იმის მცდელობა, რომ გარკვეულწილად „გაათეთროს“ პროექტი საზოგადოების თვალში, რომ თუ სახელმწიფო ააშენებს მას, მოგება უფრო მაღალი იქნება. ეს რომ ასე იყოს, უნდა დაიწეროს და დასაბუთდეს ეკონომისტების მიერ და ეს არ არის ზეპირად სათქმელი. მე არ ვარ ინვესტიციების სპეციალისტი და ზუსტი თანხა არ ვიცი, მაგრამ საკმაოდ ძვირი დაჯდება.

**— ანუ ვალის აღება დაგვჭირდება...**

– აუცილებლად. ისევე, როგორც ინვესტორს სჭირდებოდა ვალის აღება, ისევე დასჭირდება სახელმწიფოსაც, ოღონდ ეს იქნება სახელმწიფოსთვის აღებული ვალი, რომელიც იქნება ჩვენი გასასტუმრებელი, რაც არ უნდა დაემართოს პროექტს, იქნება ეს მომგებიანი თუ არამომგებიანი. ჩვენი შვილები იძულებულები იქნებიან, ეს ვალი გადაიხადონ, რაც არ უნდა ხელისუფლება შეიცვალოს. მთავრობის მიერ აღებული ვალი არის გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. რევოლუციაც რომ მოხდეს, დამფინანსებლებს ეს არ აინტერესებთ, ვალი არის დაზღვეული კრედიტი.

**— სხვა ქვეყნის მაგალითზე შეგიძლიათ მითხრათ, თუ ააშენებენ, სამართავად გადასცემენ რომელიმე კომპანიას, თუ სახელმწიფო მართავს მას?**

– თუ მსოფლიო პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მართავს, მთავარი ის არის, რა კანონებით და რეგულაციებით ხდება ამის მართვა. შეიძლება, დაიქირავოს, მაგრამ, თუ არ არსებობს გამართული საკანონმდებლო რეგულაციები, თუ არ არსებობს მკაცრი სახელმწიფო მონიტორინგი, ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოება წაგებული დარჩება.

**— თუ სახელმწიფომ უნდა მართოს, მაშინ ეს როგორი საბაზრო ეკონომიკა იქნება?**

– ასე არაა, საფრანგეთში სახელმწიფო ორგანიზაციები მართავენ ასეთ პროექტებს და ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს.

**— მოიგებს ამით სახელმწიფო, რამე დადებითი თუ აქვს ამ პროექტს?**

– ჯერ ზუსტად არ ვიცით, რა აქვს ამ პროექტს დადებითი, მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა უნდა წარმოადგინოს მთავრობამ. ეს ჯერ არ გაკეთებულა. რაც შეეხება უარყოფით თვისებებს, ეს ზედაპირზე ჩანს. ვითხოვთ დადებით ეფექტს, მაგრამ ის, რომ ამით დასაქმება გაიზრდება, ასეთი ზეპირი განცხადებები არ მიიღება, ეს უნდა იყოს არგუმენტირებული და კონკრეტული კვლევით დასაბუთებული.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16



# რის გადასამოწმებლად ჩამოვიდა შტაინმაიერი საქართველოში?

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი თბილისში წელს უკვე მეორედ ჩამოვიდა. მისი ვიზიტის ოფიციალური მიზანი, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავება, რეგიონში არსებული ვითარება, ნატო-ს მიერ შემოთავაზებული პაკეტი და ასოცირების შესახებ იმპლემენტაციაა.**

**რა არის სინამდვილეში შტაინმაიერის ვიზიტის მიზანი საქართველოში? ვის შეხვდება და რა ინფორმაციებს ჩაიტანს დასავლეთში?**

**„ალიას" პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

**— საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებები ვნახეთ. კულისებში რაზე შეიძლება ესაუბრათ შტაინმაიერთან?**

– რთულია ამ თემაზე ისაუბრო თავისუფლად, იმიტომ, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან ჩაკეტილია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრემიერი აცხადებს, რომ მთელი სამინისტრო მუშაობდა „ნაციონალებზე" და ამ დროს, ამ სამინისტროს წამყვანი ფიგურა ინიშნება მინისტრად. ეს აბნევს ყველას. ქართული საგარეო პოლიტიკა იმდენად გაუმჭვირვალეა, რომ რთულია ფაქტებზე აპელირება. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი და ძველი მინისტრები, უკვე მიეჩვივნენ და მამაო ჩვენოსავით იმეორებენ სულ რაღაც 50 სიტყვას.

შტაინმაიერისთვის, საქართველო არ არის პრიორიტეტი, იმიტომ, რომ თვითონ გერმანიისთვის და ნატოსთვის არ არის საქართველო პრიორიტეტი. არ გამოვრიცხავ, ვინაიდან საქართველოში ასეთი სიტუაციაა შექმნილი, შტაინმაიერი დელიკატური მისიით იყოს ჩამოსული, მისიით, რომ არ გაქრეს საქართველოში იმედი, რომ ოდესმე გავხდებით ნატოს წევრი.

ასევე, ევროპას აინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება საქართველოში?! ახალი საკადრო გადაადგილებებია, 2 წელი გავიდა და ქვეყანაში არც ის ნაწილია კმაყოფილი ვინც სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა და არც ის ნაწილი, ვინც „ნაციონალური მოძრაობის" განადგურებას მოითხოვდა. ამ მხრივ, ხელისუფლება მკვდარ ზონაში იმყოფება, ის ორივე მხრიდან კრიტიკის ობიექტადაა ქცეული.

დასავლეთისთვის, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს გადახრა ჩრდილოეთისკენ. არ მოხდეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესება. დღემდე ვერ გაერკვა დასავლეთი ჩვენი მთავრობის საგარეო კურსში. ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობის დალაგების დაპირებით მოვიდა, შემდეგ შეიცვალა კურსი, თითქოს. ვინც მეტ-ნაკლებად ადევნებს თვალყურს დასავლეთის მხრიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მისთვის, არ უნდა იყოს ძნელი ამოსაცნობი, რომ მთავრობა, დასავლეთში ჯერ კიდევ არ სარგებლობს ნდობით. ეჭვია, ვერ დაადგინეს, რა მიზანი აქვს მთავრობას. ზოგადად, შტაინმაიერი, არცთუ ისე დიდი ხალისით უჭერს მხარს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს. მართალია, ის არის მერკელთან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელი კურსიც აქვს.

**— როგორ გგონიათ, შეძლებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რეალური ინფორმაციის გაგებას ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ და ევროპაში ჩატანას?**

– გაიგებს, იმიტომ, რომ ის შეხვდება ოპოზიციას, მთავრობას. უკვე წინასწარ ვიცით, რას ეტყვის მთავრობა, ასევე ვიცით, რას ეტყვის ოპოზიცია, მაგრამ ისაა მნიშვნელოვანი, რომელი მხარე იქნება დამაჯერებელი გერმანელისთვის. ის თავაზიანად, ღიმილით, თავის ქნევით მოუსმენს, არ შეეკამათება არავის. გერმანელი არ არის ქართველი და ის არ აჰყვება ემოციებს, მაგრამ დასკვნებს გააკეთებს თავისთვის. წაიღებს იმ ინფორმაციას, ვინც უფრო დამაჯერებელი იქნება მასთან საუბრისას.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.85-1.80 იქნება"




ეკონომიკის მინისტრის, პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1.85-1.80 იქნება.

„როდესაც კურსი არის აღმავალი და შაბათ-კვირა ემთხვევა, როგორც წესი, კიდევ უფრო მძაფრდება ხოლმე ეს ტრენდი. შესაბამისად, როდესაც ტრენდი შაბათ-კვირას შემოტრიალდა. ეს ნიშნავს, რომ ამ კვირაში კურსი ქვევით წამოვა. უნდა ველოდოთ 1.85-თან, 1.80-სთან მიახლოებულ დოლარის კურსს", – განაცხადა ქუმსიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე მერაბ ტურავა წარადგინეს



ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ", საკანონმდებლო ორგანოს, განსახილველად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მერაბ ტურავას კანდიდატურა წარუდგინა. კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს, ცხრა წევრიდან, სამს, პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. პროცედურების დარღვევით, ვაკანტურ ადგილზე ერთი წლის დაგვიანებით მოხდა ახალი მოსამართლის წარდგენა პარლამენტში.

პარლამენტი, კანონის გათვალისწინებით, ვალდებული იყო გვარამიას შემცვლელი ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე აერჩია, რაც არ მომხდარა და ერთი ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოში დღემდე ვაკანტურად რჩება.

მერაბ ტურავა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა. ის უზენაესი სასამართლოდან „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაითხოვეს. (ნიუპოსტი)

# რა ელით ცაგარელის პროგნოზით, ლარს, იურისტებს, ექიმებს და უცხოეთში წამსვლელებს



ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის განცხადებით, „24 დეკემბერს პლანეტა სატურნი, მთავარი დამამუხრუჭებელი პლანეტა, მშვილდოსნის ზოდიაქოში გადავა, აქედან გამომდინარე უცხოეთთან ურთიერთობა გართულდება. ანუ შეიძლება სავიზო შემოსვლის ან გასვლის კუთხით რაღაცები შეიცვალოს, გაძნელდეს ან გაართულონ. ამიტომ მე ახლავე ვურჩევ ყველას, რომ თუ გასასვლელები არიან, გასვლა 24 დეკემბრამდე მოასწრონ. შემდეგ შეიძლება სხვადასხვა სირთულეებმა იჩინოს თავი".

**რა მოვლენებია მოსალოდნელი 2015 წლის აგვისტომდე? რომელი პროფესიის ადამიანებს შეექმნებათ პრობლემები? რას ურჩევს ასტროლოგი ბიძინა ივანიშვილს?**

**„ალიას" მიხეილ ცაგარელი ესაუბრა:**

**— ბატონო მიშა, რა კონკრეტულ გართულებებს ელოდებით უცხოეთთან მიმართებაში?**

– მე ვიცი ის, რომ მთავარი მუხრუჭი კოსმიურია, სატურნი შედის მშვილდოსნის ზოდიაქოში, მშვილდოსანი მართავს უცხოეთს, ამიტომ მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა სახის პრობლემებმა იჩინონ თავი. მთლიანობაში, მიმოსვლის საკითხები, საბაჟო საკითხები, მოსალოდნელია, უფრო მეტად იყოს გართულებული.

**— თქვენ პირდაპირ დაასახელეთ 24 დეკემბერი, რატომ?**

– ეს არის ჩემი რჩევა და არა გარანტია. ასტროლოგიაში ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ეს პლანეტა შედის ამ ზოდიაქოს ნიშანში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად შევა ძალაში 24-ში, ან 25-ში, ასე არაა. თანდათან ვიღაცის გონებაში, ამ პლანეტების ზეგავლენით მოვა იდეა, რომ საჭიროა რაღაცის შეცვლა, მაგალითად, საბაჟო კონტროლის, ან სხვა რამის, საბუთების შეცვლის. სატურნი ამ წლიდან დაიწყებს მუშაობას, ვიღაცას გონება გაეხსნება, შეიძლება, ჯერ უცხოეთში შეიცვალოს და მერე აქაც გადმოიღონ. ასეთი მოვლენები მოსალოდნელია. პლანეტები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანზე. ეს სიტუაცია გასტანს 16 ივნისამდე. 16 ივნისიდან 19 სექტემბრამდე შემსუბუქდება, რადგან სატურნი გამოდის მშვილდოსნიდან და გადადის მორიელში. უცხოეთთან ურთიერთობა შემსუბუქდება, მაგრამ 19 სექტემბრიდან ისევ დაიწყება გართულებები. სატურნი ისევ გადადის მშვილდოსანში და წელიწად-ნახევრის განმავლობაში ადამიანებს ექნებათ დამამუხრუჭებელი ფაქტორები. პრობლემები იქნება არა მხოლოდ გასვლაზე, შეიძლება გახვიდეთ და იქ გაცილებით მეტ სირთულეებს გადაეყაროთ. თუ დავაკონკრეტებთ, ავსტრალია, პორტუგალია, სერბეთი, კუნძული მალტა, სლოვენია – ამათთან მიმართებაში კიდევ უფრო მეტი პრობლემები იქნება.

**— ბატონო მიშა, ბარემ დღევანდელობაზეც გკითხავთ. საქართველოში ცხოვრება გაძვირდა, ლარის მდგომარეობა გაურკვეველია. როგორია თქვენი პროგნოზი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?**

– იმედიანი პროგნოზი ჯერჯერობით ვერ მექნება. შავი მთვარე არის მაცდუნებელი ძალა, 2 კვირის წინ გადავიდა ქალწულის ზოდიაქოში, ის მართავს საბანკო სფეროს. როცა ასეთი მოვლენა ხდება და სატანის მეცხრე მოციქული გადადის საბანკო-საფინანსო სფეროში, მოსალოდნელია სხვადასხვა სახის პრობლემები. ჩვენ დავინახეთ, ეს პრობლემები აქ როგორ გამოიხატა, შეიცვალა ლარის კურსი რადიკალურად. ასეთი ცვლილებები მოსალოდნელია, თუმცა არ იქნება ასეთი სიგიჟე.

**— როდემდე გაგრძელდება?**

– 2015 წლის 11 აგვისტომდე. ცვლილებები სავალუტო ბირჟების კუთხით ჯერ კიდევ მოსალოდნელია. არ იქნება ასეთი ავარდნები, მაგრამ არასტაბილური ნამდვილად იქნება. 11 აგვისტოდან დალაგდება, იქნება საკადრო ცვლილებებიც სამინისტროების დონეზე. ეს წაადგება ქვეყანას იმით, რომ შედარებით დალაგდება ეს სფერო, მეტი პროფესიონალი დაკავდება, მოსალოდნელია ზემო სტრუქტურებში ძველი კარგი კადრების მოზიდვა. მე მოვუწოდებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, დროულად მიხედონ ეროვნულ ბანკს, რადგან ის არის დიდი ამრევი ამ სფეროში. ვის წისქვილზე ასხამს წყალს მათი ქმედება, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სფერო მისახედია.

**— ზამთარი თუ როგორმე გადავიტანეთ, მერე რა გველის, თუნდაც გაზაფხულზე?**

– ძალიან რთული წელიწადი გველის, მაგრამ მნიშვნელოვანი წელი, რადგან გარდამტეხია ქვეყნისთვის. წელს დაერევიან მედიცინის სფეროს, მედიცინის მუშაკებს. 11 აგვისტომდე საექიმო შეცდომების ალბათობა იმდენად მოიმატებს, რომ ამას მოჰყვება საკადრო ცვლილებები. არაზუსტი დიაგნოზები მოიმატებს. იურისტებს შეექმნებათ პრობლემები და დაიწყება წმენდა. მოკლედ, ეს იქნება წმენდის წელიწადი. სერიოზული ცვლილებები იქნება განათლების სფეროშიც. ქვეყანაში გამოჩნდებიან სერიოზული კადრები, ძველი პროფესიონალები დაბრუნდებიან, როგორც დაბრუნდა ნოდარ ჯავახიშვილი. ეს ადამიანები დაუბრუნდებიან იმ ადგილებს, სადაც საჭიროა მათი ყოფნა. 2016 წელს პროფესიონალების ხელში გადავა ქვეყანა და დაიწყება ქვეყნის აღმავლობაზე ზრუნვა. 2015 წელს არ იქნება აღმავლობის წელი, მაგრამ მოხდება ქვეყნისთვის აუცილებელი ძვრები, მათ შორის, იდეოლოგიურიც. ვინ ვისთან არის და ვინ არ უნდა იყოს მთავრობაში, ეს გაირკვევა. საბოლოოდ, ეს წაადგება ქვეყანას. 2020 წელს ჩამოიქროლებს წარმატების მატარებელი. საჭიროა შეცდომების გამოსწორება და სერიოზული გარდატეხა, რომელიც დაგვაახლოებს წარმატებებთან.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## თინა მახარაძის „ეგეთი დეკემბერი“



ბევრს მოსწონს, უფრო ბევრი კი აკრიტიკებს. თუმცა, ფაქტია, რომ ძალიან მოკლე დროში სკანდალური ფოტოებით, ჩაცმულობითა თუ გამოსვლებით იმდენად პოპულარული და რეიტინგული გახდა, რომ წვრილმანებიც კი აინტერესებს მაყურებელს მის შესახებ.

„ჩემი ცოლის დაქალების“ პოპულარული მსახიობი ამჯერად ბათუმში გახლავთ. სწორედ ბათუმში გადაღებული და თინას „ფეისბუკის“ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო იქცა განხილვის საგნად. ფოტო, რომელშიც თინა მახარაძე ზამთრისთვის საკმაოდ შილიფად არის ჩაცმული, მსახიობმა ასე დაასათაურა – „ეგეთი დეკემბერი“.

*newposts.ge*

## ია უძილაური შეყვარებულია – „მისგან ვისწავლე, რომ შეიძლება ჩაკეტილ ოთახშიც იყო ბედნიერი“



ფიტნეს მოდელი ია უძილაური შეყვარებულია.

– ჩემს შეყვარებულზე ვისაუბრებ მაშინ, როცა ჩემდამი არ იქნება ასეთი ინტერესი. დისკომფორტს არ შემიქმნიან ჩემს მკერდსა და კუნთებზე საუბრით. ის უდავოდ საინტერესო ადამიანია. ხელოვანია.

ასაკი არ მიკითხავს. ჩვენ ასეთ რაღაცებზე საუბარში დროს ვერ ვხარჯავთ. ის ჩემი ასაკისაა სულით და ბუნებით. კარგად ვეწყობით ერთმანეთს.

მან კარგი თვისებები გააღვიძა ჩემში. გავხდი ყურადღებიანი. ვისწავლე, რომ შეიძლება ჩაკეტილ ოთახშიც იყო ბედნიერი. ერთმანეთს ვანიჭებთ თავისუფლებას.

*primetimenews.ge*

## სკანდალური დაპირისპირება შალვა რამიშვილსა და მარგო ლუჩკოს შორის



მესამე კვირაა „შალვა რამიშვილის შოუში“ აღარ ჩანს მარგო ლუჩკო. მხიარული და პოზიტიური მარგო მაყურებლის თვალს მოაკლდა.

შალვა რამიშვილი:

– მარგო ლუჩკო და „შალვა რამიშვილის შოუ“ ერთმანეთს დაშორდნენ. მიზეზი იყო გარკვეული შემოქმედებითი უთანხმოება. თუმცა ისეთი არაფერი შეგვითავაზებია, რაც საქართველოს კანონმდებლობასა და სატელევიზიო ქცევის წესებს ავნებდა.

მარგო ლუჩკო:

– სამწუხაროდ, ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ მე არ შემიძლია გავაკეთო ის, რაც ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. არსებობს საკითხები, რომელზეც მე სიცილი არ შემიძლია. არ შემიძლია სიცილი ავადმყოფობაზე, გაჭირვებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე... შალვამ დამავალა სიუჟეტის მომზადება, რომელსაც ვერ მოვამზადებდი, არა იმიტომ რომ პროფესიონალი არ ვარ, არამედ პირველ რიგში ადამიანი ვარ! ვთავაზობდი მსგავსი სიუჟეტის გადაღებას სხვა ადგილზე, მაგრამ შალვა დათმობაზე არ წავიდა. ჩვენ დავშორდით. მიუხედავად ყველაფრისა, პატივს ვცემ შალვას და მასზე არაფრის თქმას არ ვაპირებ.

*reitingi.ge*

## ნანუკა გოგიჩაიშვილს გამთენიისას სადარბაზოსთან დახვდნენ – „მერე უკვე სხვანაირად დავიცავ თავს...“



ნანუკა გოგიჩაიშვილი წლებია, „რუსთავი 2“-ის დილის ეთერში მუშაობს. ამინდის პროგნოზის წამყვანი თბილისში ერთ-ერთ ლამაზმანადაა აღიარებული. თაყვანისმცემლებიც არ აკლია. ზოგიერთი მათგანი დილით სამსახურში წასვლამდე ნანუკას ბინასთან ელოდება.

როგორც ჩანს, ნანუკას თაყვანისმცემელმა თავი ძალიან მოაბეზრა და შემდეგი შინაარსის სტატუსი დაწერა.

– დილას 6:00-ზე დამხვდა უცნობი ადამიანი (ჩემს სართულზე) და მელოდა სამსახურში წასვლამდე! ძალიან გთხოვთ, თავი შეიკავოთ „დილას“ ან შუაღამეს დახვედრისგან!

ეს არც პატივისცემაა, არც სიმპათიის გამოხატვა და არაფერი. აქ ვწერ იმიტომ, რომ ერთგვარი გაფრთხილებაა, არც ვიმუქრები და არაფერი, უბრალოდმ მერე უკვე სხვანაირად დავიცავ თავს, საშინელი მომენტია, „დაუცველ გოგოს“ შუაღამეს მოადგეს უცნობი ადამიანი.

ამის უფლება არავის არა აქვს, – წერს ნანუკა

*reitingi.ge*

## გიორგი სუხიტაშვილმა სექსუალური ტანი დაიყენა



მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა 3-თვიანი ვარჯიშის შედეგად 7 კილო დაიკლო.

მომღერალი სოციალურ ქსელში ფოტოს აქვეყნებს, სადაც სამთვიანი შედეგი სახეზეა.

– 3 თვის რეზულტატი. არანაირი დიეტა, მხოლოდ ვარჯიში! -7 კგ!!!, – წერს გიორგი.

*primetimenews.ge*

## ტაძრიდან ფლეიბოიმდე – თამუნა ვაშალომიძემ უცნაური მეტამორფოზა განიცადა



ბავშვობაში მორცხვი გოგო, რომელიც 16 წლის ასაკში მონასტერში მედავითნე იყო და იქ დარჩენას გეგმავდა, მისი გეგმები მოულოდნელად შეიცვალა.

თამუნამ „იმედის კვირაში“ თავის ცხოვრებაზე გულახდილად ისაუბრა. დღეს ის სექსუალური გარეგნობის გოგოა, რომელმაც მცირე დროში სექსსიმბოლოს სტატუსი მოიპოვა.

– როცა ვმუშაობდი, აღარ მქონდა მსახურების დრო. მერე მოხდა ისე, რომ ია კიწმარიშვილთან სტუდიაში ვსწავლობდი. მერე მივიღე მონაწილეობა „მის ბიკინის“ კონკურსში, თუმცა წარმატება არ მქონია. ჩემი ოცნება ფლეიბოი არ ყოფილა, მივდივარ 12 დღით ფოტოსესიაზე და, ალბათ, მექნება რამე შემოთავაზება. მოძღვარი მყავს, სხვათა შორის ეხლა უყურებს მოძღვარი ამ გადაცემას, აღსარებასაც ვაბარებ და ვარ ისევ მრევლი, – განაცხადა გადაცემაში სტუმრობისას თამუნა ვაშალომიძემ.

*newposts.ge*

## ნინი ქარსელაძის თამამი ფოტოსესია







ცოტა თამამი ფოტოების გადაღება ქართველებში მოდაშია. ძალიან ვერ თამამდებიან და სექსუალური ფოტოებით შემოიფარგლებიან. ასეთი ფოტოსესია აქვს ნინი ქარსელაძესაც...

*primetimenews.ge*

## „თუ შვილი არ გყავთ აიყვანეთ, მეც მყავს ერთი ნახევრად აყვანილი შვილი“



მომღერალ სტეფანე მღებრიშვილს მამობრივი სიყვარული მოაწვა და სოციალურ ქსელში საინტერესო სტატუსი გამოაქვეყნა.

– ყველაზე მაგარი, რაც შეიძლება ადამიანს დაემართოს, შვილია... ვისაც ვერ გყავთ, აიყვანეთ... ჩადექით რიგში... მაინც მაგაზე მაგარს ცხოვრებაში ვერაფერს გააკეთებთ. მეც მყავს ერთი ნახევრად აყვანილი და მაგარია (ნუ ჩამეკითხებით) ესეთი სენტიმენტალური ვარ, როცა შორს ვარ, ამიტომ იმედია, გამიგებთ... – წერს სტეფანე.

*daijesti.pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## მის ელეგანტურობა — მაინც, როგორია იგი?



სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სტილურობასა და ელეგანტურობას შორის ძალიან დიდი სხვაობაა – ზოგიერთ ადამიანს აქვს საკუთარი სტილი, თუმცა ისინი მაინც ძალიან უგემოვნოდ იცვამენ და პირიქით, მეორე ნაწილი ძალიანაც ელეგანტურია, თუმცა მოდას კი არ მისდევს.

მაინც, რა პრინციპებს უნდა იცავდეთ, რომ მის ელეგანტურობის ტიტული სწორედ თქვენ გერგოთ?

პირველ რიგში, იხელმძღვანელეთ ე.წ. ერთი ვულგარული ნივთის პრინციპის მიხედვით, ანუ აირჩიეთ ტუალეტის მხოლოდ ერთი „მყვირალა“ ელემენტი – ან მოკლე ქვედაბოლო, ან კიდევ ღრმა დეკოლტე.

მეორე – აუცილებლად გადახედეთ საკუთარ კარადას წინასწარ და ტანსაცმელიც დროზე ადრე შეარჩიეთ, რომ მეორე დილას ის არ ჩაიცვათ, რაც პირველად მოგხვდებათ ხელში.

მესამე – ყოველთვის იდეალურად მოვლილი იქონიეთ თმები და ფრჩხილები.

მეოთხე – სახეზე მაკიაჟის დატანისას, აუცილებლად გაუსვით ხაზი და გამოკვეთეთ ან ტუჩები, ან კიდევ – თვალები.



მეხუთე – არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ სუნამო ბოროტად, რადგან თქვენი არომატი მხოლოდ ძლივს შესამჩნევი უნდა იყოს.

მეექვსე – ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეთ აქსესუარებს – საყურეებსა და მკვეთრ ფეხსაცმელებს.

მეშვიდე – მაქსიმალურად დახვეწეთ მანერები.

მერვე და ყველაზე მთავარი – ჩაიცვით ის, რაც ნამდვილად გიხდებათ და არა ის, რაც მოდაშია.

– თქვენ ყველაზე ელეგანტური ქალბატონი ბრძანდებით!

***woman.ru***

## „მამაკაცურ ღირსებას“ გათვალვის საწინააღმდეგოდ იყენებენ



შორეული სახელმწიფო ბუტანი ჰიმალაებში, ცნობილია არა მხოლოდ თავისი ულამაზესი ბუნებითა და თვალუწვდენელი მთებით, არამედ, საკმარისია გასცდეთ ქვეყნის ერთადერთ აეროპორტს პაროს სამეფოში და დედაქალაქ თჰიმფუსკენ აიღოთ გეზი, რომ ყველგან „მამაკაცური ღირსების“ ქანდაკებებსა და ნახატებს დაინახავთ, რომლებიც დადგმულია და მიხატულია სახლებზე, მაღაზიებსა თუ რესტორნებზე. მოკლედ, ფაქტობრივად, ნებისმიერ შენობაზე.

გარდა ამისა, საოხრეებია გამოსახული, მაგალითად, სხვადასხვა საკვები პროდუქტების სარეკლამო დაფებზეც.

ცნობილი ფაქტია, რომ მამაკაცის სასქესო ორგანოს მიმართ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატივისცემას, ძალიან ბევრ ქვეყანაში გამოხატავენ. მაგალითად, ინდოეთსა და ნეპალში ბუდისტები ღმერთ შივასადმი მიძღვნილ ფალოსს ეთაყვანებიან, თავად ბუტანში კი საერთოდ, ფალოსის მონასტერიც არსებობს.

ასეთი უჩვეულო მოვლენის გამომწვევი მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ადგილობრივების გაგებით, ფალოსი მათ ბოროტი თვალისგან იცავს და კიდევ უამრავი პრობლემის მოგვარებაშიც ეხმარება.



არსებობს საკმაოდ უცნაური ლეგენდაც, რომელიც ბუტანელ ლამას სახელად დრუპკა კინლის უკავშირდება – გადმოცემის თანახმად, დრუპკა კინლი დედამიწაზე გაჩენილ დემონებს იჭერდა და თავში საკუთარი პენისის ჩარტყმით უსწორდებოდა.

ბუტანელები მიიჩნევენ, რომ რაც უფრო გრძელი იქნება ფალოსის „ძეგლი“, მით უფრო დაცულები იქნებიან ისინი უკეთური ძალისგან.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – ბუტანელი სასულიერო პირების მტკიცებით, ქალმა, რომელსაც უშვილობის პრობლემა აწუხებს, რამდენიმე დღის განმავლობაში თავზე მოზრდილი ხის ფალოსი უნდა დაიდოს და ყველგან ასე იაროს, რათა, საბოლოო ჯამში, ოცნების ასრულება და შვილის გაჩენა მოახერხოს.

მართალია, ასეთ ტრადიციებს ბუტანელების გარკვეული ნაწილი, უფრო ახალგაზრდები, სასტიკად ეწინააღმდეგებიან, მაგრამ უხუცესები თავიანთ წინაპრების ჩვევებზე უარის თქმას არ აპირებენ.

***factroom.ru***

## კბილის ტკივილის მიზეზი თავში ჩარჭობილი 10-სანტიმეტრიანი ლურსმანი აღმოჩნდა



გადარეულა ამერიკელი დანტისტი, როცა 23 წლის პაციენტის პატრიკ ლოლერის კბილის ტკივილის მიზეზი დაუდგენია – ყველაფერში დამნაშავე თავში ჩარჭობილი 10-სანტიმეტრიანი ლურსმანი ყოფილა, რომლის გამოც ახალგაზრდა უკვე ნორმალურად დაძინებასაც კი ველარაფრით ახერხებდა.

დაძინება კი არა, ექიმები განცვიფრებას არიან მისულები, საერთოდ როგორ ედგა პირში სულიო, მაგრამ თქვენც გეცოდინებათ განსაკუთრებით იღბლიანი ადამიანების შესახებ, რომლებიც რეალურად ცოცხლებში დიდი ხანია, რაც აღარ უნდა იწერებოდნენ.

როგორც ირკვევა, პატრიკ ლოლერი მშენებლობაზე მუშაობდა, თუმცა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ახალბედა ხელოსანი გახლდათ, ლურსმნების ჩასარჭობ პისტოლეტს ადვილად ვერ უმკლავდებოდა და ერთი ლურსმანი პირდაპირ თავში დაირჭო, ოღონდ მთავარი ის არის, რომ 10-სანტიმეტრიანი რკინის ნაჭერი მის თავში... პირის გავლით მოხვდა, რაც ახალგაზრდამ ვერ შეამჩნია(?!).

თურმე, პირველ დღეებში ლოლერს კბილი მხოლოდ უმნიშვნელოდ აწუხებდა, შემდეგ უკვე ტკივილები აუტანელი გახდა და მან ექიმთან მისვლაც გადაწყვიტა.

საბედნიეროდ, ამ ვიზიტისას ყველაფერი დადგინდა კიდეც და დანტისტმა პატრიკ ლოლერი სასწრაფოდ საავადმყოფოში გაგზავნა, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა და უჩვეულო შემთხვევა ამით ამოიწურა.

***etotupo.ru***

## საინტერესოც და უცნაურიც



– ალაბამაში სიკვდილით დასჯა არ ასცდება ადამიანს, რომელიც მატარებლის რელსებზე მარილს მოაფრქვევს.

– ის, რომ მზე ვარსკვლავია, მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 55-მა პროცენტმა იცის.

– უელსის განათლების დეპარტამენტმა 2001 წელს ერთ-ერთი მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა და ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის უფლება სამუდამოდ ჩამოართვა. ამ მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზი კი შემდეგი ფაქტი გახდა: დაწყებითი კლასის მოსწავლეები, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლისგან საშინელი სიმართლე შეიტყვეს, თურმე სანტა-კლაუსი არ არსებობსო, რამდენიმე ღამე ტირილს ვერ იკავდნენ.

– ალიასკაში სასტიკადაა აკრძალული (ჩვენ კი სასტიკად არ გირჩევთ!) მძინარე დათვების გამოღვიძება იმისთვის, რომ მათ... ფოტო გადაუღოთ. ასევე, აკრძალულია თვითმფრინავებიდან ცოცხალი ლოსების გადაყრა (და მკვდარი ლოსების შეიძლება?).

– თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი აბეზარი კომპლექსი ელვის პრესლისაც ჰქონია – მომღერალი სულ იმის შიშში იყო, რომ პირიდან არასასიამოვნო სუნი ამოსდიოდა. ამის გამო იგი მუდმივად ან სალეჭი რეზინით დადიოდა, სულ ჭამდა ან რაღაცას სვამდა.



– მინესოტაში ხანგრძლივი პატიმრობით დასრულდება შემთხვევა, თუკი ვინმე გაბედავს და თუნდაც საკუთარ სახლში ტანსაცმლის გარეშე დაიძინებს.

– ზოგიერთ გარყვნილ ადამიანს ზღვის გოჭებიც ბაძავენ და ხშირად... ჯგუფურ სექსს აწყობენ.

– თუკი ნადირობა გხიბლავთ და ტეხასში მოხვდით, არ გაბედოთ და ბიზონს ნებისმიერი შენობის მეორე სართულიდან არ ესროლოთ (პირველიდან და მეჩვიდმეტედან, ალბათ, შეიძლება).

– ტუალეტის ქაღალდი 1857 წელს ნიუ-იორკელმა ჯოზეფ გაიეტიმ გამოიგონა.

– ავოკადო ესპანური სიტყვიდან „აგუაკატ“ მოდის, რომელიც თავის მხრივ აცტეკური „ახუაკატი“-დან იღებს სათავეს და ყვე...ბს ნიშნავს.



– აიდაჰოში სასტიკადაა აკრძაული თევზაობა მათთვის, ვისაც ხელში ანკესი უკავია და თან... აქლემზე ზის.

– მაიმუნების მსგავსად, ბანანი ირმებსაც ძალიან უყვართ.

– მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში 22 ჰიტლერის მოძიება შეიძლებოდა, ომის დასრულების შემდეგ კი – აღარც ერთის.

– ადამიანების 97 პროცენტი, რომელსაც საწერ კალამს მიაწვდით, პირველ რიგში, საკუთარ სახელს დაწერს.

– მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საშუალო სტატისტიკური ადამიანი ძილის დროს 8 პატარა ობობას ყლაპავს (იმედია, ძილს არ დაგიფრთხობთ).

– როცა თვითმფრინავი 1000 კილომეტრ/საათის სიჩქარეს ავითარებს, მისი სიგრძე 1 სანტიმეტრით მოკლდება.

– 1 წელი პლუტონზე დედამიწის 247 წელს უდრის.

– 1 გრამი ოქროსგან 3,5 კილომეტრის სიგრძის მქონე წვრილი სადენის გამოდნობაა შესაძლებელი.

***1001facts.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



სტომატოლოგი კაბინეტიდან გადარეული გამოვარდა, დადის აქეთ-იქით, ბოლთას სცემს, შუბლს იქექავს. მედდა:

– რა მოხდა, ექიმო, მძიმე შემთხვევაა?

– უმძიმესი! კლიენტი უამრავი ფულის პატრონია, მაგრამ ყველა კბილი ჯანსაღი აქვს...

*****

ყურადსაღები მინიშნება:

– თუ არმიასა და პოლიციას ერთდროულად უზრდიან ხელფასს 3-ჯერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას საკუთარი ხალხის ძალიან ეშინია!..

*****

– სამშობლო გიყვართ?

– რა თქმა უნდა?!

– და მზად ხართ, მისთვის თავი გაწიროთ, მოკვდეთ?

– ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მერე ვიღას ეყვარება?

*****

– დედა, შეიძლება, სასეირნოდ წავიდე?

– იმ ნახვრეტიანი კოლგოტით, არა?

– დედა, რამდენჯერ უნდა გთხოვო, ნუ ეძახი ჩემს შეყვარებულს ასე!!!

*****



თინიკო დაქალს მესიჯს უგზავნის:

„38,5! ყველაფერი მტკივა!“

პასუხმაც არ დააყოვნა:

„უფრო მოკლე რომ მოგეძებნა, არ შეგეძლო?!“

*****

ზრდასრულობა – ეს არის დრო, როცა ყინვისას ქუჩაში უქუდოდ გასულს თავი გგონია არა მაგარი ბიჭი, არამედ ნამდვილი დებილი!..

*****

პრინცი:

– აი, მეფეო! როგორც დაგპირდით! დრაკონის თავი!

მეფე:

– აი, პრინცო! როგორც დაგპირდი! ჩემი ქალიშვილის ხელი!

*****

– ძვირფასო, მუცელი მეზრდება. მგონი, ფეხმძიმედ ვარ.

– ჰო, როგორ არა. შენ წარმოიდგინე, მე ისიც კი ვიცი, მამა ვინ არის.

– ვაი, შენს პატრონს?! ვინ არის, აბა, ვინ?

– საკონდიტრო ნაწარმის კომბინატი!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# სკანვორდი




1. მსახიობი მარჩელო ...
2. მსახიობი ვივიენ ...
3. მისი დედაქალაქია ლისაბონი
4. ინდური ეპოსი: თქმულება რამაზე, ანუ „...“
5. კერძების „შეფი“
6. ჯანი, ღონე
7. მიკროსქემის დეტალი
8. შენობა ტელესკოპით
9. მღრღნელი, რომელიც მდინარეზე კაშხალს აგებს
10. ჩეხეთის გმირი ... ჰუსი
11. ფასდაკლება, ანუ ...
12. მუსლიმანური მარხვა
13. არქიმედეს შეძახილი აბაზანაში
14. აბზინდის არაყი
15. რომანის ერთი ნაწილი
16. ჰიტლერი როგორც ბელადი
17. მამალი კვიცი
18. პატარა სკივრი
19. მზის ამოსვლა
20. ბავშვის კბილი
21. წარწერა კადრის ქვეშ
22. ხეობა შიდა ქართლში
23. ნიჩბებიანი ტრანსპორტი
24. მდინარე აფხაზეთში
25. ფრინველის სამწყვდევი
26. მოწონების შეძახილი თეატრში
27. პიკასოს ნახატი ომის თემაზე
28. ებრაელების იმიგრაცია ისრაელში
29. ფორდი და ორმონდი ფილმში
30. ... შანელი
31. „მაგდანას ლურჯას“ ავტორი
32. თემურ ჩხეიძე ფილმში „... მდივანი“
33. მდინარე დას. საქართ.
34. იტალიელი ფერმწერი
35. ქალაქი პოლონეთში
36. ... შრომა, მერე ხტომა
37. კრივის ერთი პერიოდი
38. ერთგვარი ბორანი
39. სხეულის დაწვა, ანუ ...
40. ზოდიაქოს ნიშანი
41. დიდი კოვზი
42. ინგლისელი პოეტი
43. კენიის დედაქალაქი
44. იალქანი
45. ბოკაჩოს ნაწარმოები
46. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
47. ვიქტორ ჰიუგოს რომანის კუზიანი პერსონაჟი, რომლის სახელიც „ვითომ ადამიანს“ ნიშნავს
48. მსახიობი ... რობერტსი
49. ბოლშევიკი და ...
50. ყავის ჯიში
51. კარლო გოლდონი. „ორი ბატონის ...“
52. მტრის ჯარი ქალაქის ირგვლივ
53. ნაჭერი, ქსოვილი, ანუ ...
54. მსახიობი ... ბროდერეკი
55. მუსიკალური გასართობი
56. მწერალი ემილ ...
57. ჭრილობა
58. ზღვის კომბოსტო
59. მყარი წიაღისეული ზოგადად
60. ძალიან ტკბილი ნივთიერება
61. ოსური ცეკვა
62. ქართ. სუფრის წინამძღოლი
63. მსახ. ... ფედოსეევა-შუკშინა
64. იაფის საპირისპირო
65. ლეილა აბაშიძის კინოროლი
66. კომბლეს „ჭრელა“
67. ნაცია
68. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
69. ქალაქი აშშ-ში
70. კარტოფილის კერძი
71. პოლიტიკოსი ... ბაღათურია
72. ქრისტიანთა წმინდა თასი
73. მკერდის კორექციის მასალა
74. დედამიწის ზედაპირი გეოგრაფიულად
75. ქედი საქართველოს საზღვარ-ზე
76. მასობრივი გადარბენა
77. ტროპიკული ნაყოფი
78. რუსი მხატვარი ვალენტინ ...
79. ცხენებშებმული ტრანსპორტი
80. აივენჰოს სატრფო
81. მისი დედაქალაქია ტოკიო
82. პოეზიის ჟანრი
83. ქართ. სადაზღვევო ფირმა
84. ბრონტე. „ჯეინ ...“
85. ღრიანკალი
86. სიმინდი აცტეკურად
87. რეჟისორი ... ტარანტინო
88. 100კგ
89. სიმინდის გამხმარი ღერო
90. ვაზის ხეივანი
91. ზადი, ხინჯი
92. მწყემსის მოსასხამი
93. ადამიანის ფორმის თოჯინა ვიტრინაში
94. მოდელიერი ... ასათიანი
95. გოგრა
96. წიწვოვანი ხის ჯიში
97. მსახიობის შემცვლელი ტრიუკებში
98. პოლიტიკოსი ადა ...
99. ოპერა „პერ გიუნტი“ კომპოზიტორი
100. ღირებულება
101. პიანისტი ... რიხტერი
102. ცოლი ინდიელის ენაზე
103. ქალაქი ქვემო ქართლში
104. რითი მოკლა დავითმა გოლიათი
105. თეთრი ვეშაპი: ... დიკი
106. კურტ კობეინის ანსამბ-ლი
107. იუმორისტი ... კვირიკაშვილი
108. მსახიობი მარლონ ...
109. ... მოგივა დავითაო
110. რეჟისორი ელდარ ...
111. სიცხე, ხვატი
112. ოჯახის ერთადერთი შვილი
113. ... პოპესკუ გოპო
114. ახალი ... კარგად გვის
115. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
116. მხ/ფ „აკაკის ...“
117. წერის თავისებური მანერა
118. ათოსის ვაჟი (სახელი)
119. სათვალე დასაკეცი ყურით
120. პერგამენტი, ანუ ...
121. სახელმწიფო აფრიკაში
122. რძის პროდუქტი
123. სამატომიანი ჟანგბადი
124. ხის ნორჩი ტოტები
125. უჯრედშორისი სითხე
126. მხ/ფ „ორერა ... სვლით“
127. ქსეროპირი
128. კომში
129. მწუხარე სახის რაინდი-... კიხოტ ლამანჩელი
130. მსახიობი ... ელიავა
131. ყველაზე მაღალი ჩამჩქერი
132. მადონა ფილმში
133. შექსპირი. „მეფე ...“
134. ველური ცხენი
135. მუწუკი, ანუ ...
136. ... დე მოპასანი
137. ჩვილი ბავშვი, ანუ ...
138. რეჟისორი ჯონ ...
139. ფრანგ. ხურდა ფული
140. დახურულის საპირისპირო
141. ... მურომეცი
142. ბედი
143. „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ...“
144. კათოლიკ. ეკლესიის მღვდელი
145. ეკალივით წვეტიანი ანახეთქი
146. ქედი რუსეთში
147. ჰომეროსის პოემა
148. ... უდუმაშვილი

პასუხები: 1. მასტროიანი; 2. ლი; 3. პორტუგალია; 4. „რამაიანა“; 5. მზარეული; 6. ენერგია; 7. ტრანზისტორი; 8. ობსერვატორია; 9. თახვი; 10. იან; 11. სეილი; 12. რამაზანი; 13. ევრიკა; 14. აბსენთი; 15. თავი; 16. ფიურერი; 17. ურა; 18. ზარდახშა; 19. აისი; 20. კიჭი; 21. ტიტრი; 22. რკონი; 23. ნავი; 24. ენგური; 25. გალია; 26. ბის; 27. „გერნიკა“; 28. ალია; 29. „საბრინა“; 30. კოკო; 31. გაბაშვილი; 32. რაიკომის; 33. ცხენისწყალი; 34. რაფაელი; 35. ლოძი; 36. ჯერ; 37. რაუნდი; 38. როროო; 39. კრემაცია; 40. ვერძი; 41. ჩამჩა; 42. ბაირონი; 43. ნაირობი; 44. აფრა; 45. „დეკამერონი“; 46. სერ; 47. კვაზიმოდო; 48. ერიკ; 49. მენშევიკი; 50. მოკო; 51. მსახური; 52. ალყა; 53. ფართალი; 54. მეთიუ; 55. კარაოკე; 56. ზოლა; 57. იარა; 58. ლამინარია; 59. მადანი; 60. ქსილიტი; 61. „სიმდი“; 62. თამადა; 63. ლიდია; 64. ძვირი; 65. ძიძია; 66. ძროხა; 67. ერი; 68. სალიერი; 69. სიეტლი; 70. პიურე; 71. ჯონდი; 72. გრაალი; 73. სილიკონი; 74. რელიეფი; 75. კავკასიონი; 76. კროსი; 77. ბანანი; 78. სეროვი; 79. ეტლი; 80. როენა; 81. იაპონია; 82. ლირიკა; 83. „ალდაგი“; 84. ეარი; 85. მორიელი; 86. მაისა; 87. კვენტინ; 88. ცენტნერი; 89. ჩალა; 90. ტალავერი; 91. ნაკლი; 92. ნაბადი; 93. მანეკენი; 94. მაკა; 95. კვახი; 96. კედარი; 97. კასკადიორი; 98. მარშანია; 99. გრიგი; 100. ფასი; 101. სვიატოსლავ; 102. სკვო; 103. გარდაბანი; 104. შურდული; 105. მობი; 106. „ნირვანა“; 107. მზია; 108. ბრანდო; 109. რაც; 110. რიაზანოვი; 111. ალმური; 112. დედისერთა; 113. იონ; 114. ცოცხი; 115. ესე; 116. აკვანი; 117. სტილი; 118. რაული; 119. ლორნეტი; 120. ეტრატი; 121. ნიგერია; 122. დო; 123. ოზონი; 124. ნეკერი; 125. ლიმფა; 126. სრული; 127. ასლი; 128. ბია; 129. დონ; 130. ლია; 131. ანხელი; 132. „ევიტა“; 133. ლირი; 134. მუსტანგი; 135. ბუგრი; 136. გი; 137. ალუა; 138. ვუ; 139. სუ; 140. ღია; 141. ილია; 142. სვე; 143. ლიტერატურა; 144. კიურე; 145. ხიწვი; 146. ურალი; 147. „ილიადა“; 148. ზაალ. იკითხება: არნოლდ შვარცენეგერი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. კომპოზიტორი ენიო ...
2. ყველაზე ღრმა ტბა
3. მდინარე კახეთში
4. ისრაელის დედაქალაქი
5. მწერალი ტომას ... რიდი
6. ლითონი
7. ზღვის დიდი კიბორჩხალა
8. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
9. სახელმწიფო აფრიკაში
10. ძაღლის ჯიში
11. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
12. გერდას მეგობარი ბიჭუნა
13. მხატვარი ლუკას ...
14. ქალაქი იმერეთში
15. მწერალი ალბერ ...
16. მომღერალი ჯასტინ ...
17. ამ ქალაქზეა ნულოვანი მერიდიანი
18. გემის მთავარი კოჭი
19. ...-კლუქს-კლანი
20. მთა აფრიკაში
21. ზაფხულის თვე
22. გამის ნოტი
23. მსახ. ... ჯიგარხანიანი
24. ხორბლის ჯიში
25. მითიური ცხენკაცი
26. ბაღჩეული
27. მზესუმზირა
28. მსახიობი ... არტმანე
29. ნაგვის ასაღები
30. ხრახნი
31. გემის დიდი ბადე
32. დედალი ღორი
33. ყველაზე მტკიცე მინერალი
34. კანის ინფექციური დაავადება
35. სოუზი ბოსტნეულისათვის
36. მიმდინარეობა მხატვრობაში
37. მევიოლინე ვანესა ...
38. ჯოხი ბოლოზე ტყავის ზონარით
39. თევზის ძვალი
40. მსახიობი ... დემონჟო
41. ერთგვარი სიგელი
42. უფრთო ფრინველი
43. მარჯნის კუნძული
44. მსახიობი ... ვარდალოსი
45. გემის ზურგის ნაწილი
46. ბავშვის კბილი
47. ლენინგრადი, იგივე ...
48. ამ კოცონის ეშინიათ ჭინკებს
49. ბიზეს ოპერა
50. ნიშნავს შიშს
51. ნიშნავს ახალს
52. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
53. საზაფხულო ღია კაბა
54. წრილობითი თხოვნა
55. იაზონის გემი
56. კრივის გასამართი არენა
57. ქართული ეპოსის გმირი
58. მომღერალი ... ვაიკულე
59. მსახიობი ანტონიო ...
60. ისტორიული ადგილი რუსთაველის მეტროსთან
61. ქიმიური ინდიკატორი
62. ხელოვნური ენა
63. ბურღულეული
64. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
65. შემოდგომის თვე
66. მსახ. ... მახარაძე
67. ავსტრიის დედაქალაქი
68. ჟელატინიანი ტკბილეული
69. შტატი აშშ-ში
70. მხატვარი კამილ ...
71. აკრობატის სამოსი
72. შექსპირის ტრაგედია
73. უდაბნო პარიზში
74. ნახტომი: მკვდარი მარყუჟი
75. ქალაქი აღმ. საქართ.
76. მეტეოროლოგიური მდგომარ.
77. ხის ჯამი
78. ოტელოს ეროვნება
79. მეჩეთი ...-სოფია
80. ვაჟიშვილი
81. ქართ. ანბანის ბოლო ასო
82. უცნობი მიწა: ...-ინკოგნიტა
83. ნაბიჯი ბალეტში
84. ქალაქი იტალიაში
85. კანის ექიმი
86. ქართ. საესტრადო ანსამბლი
87. მომღერალი ბობ ...
88. ორგანიზმი თანდაყოლილი პიგმენტის გარეშე
89. მსახიობი ... იოვოვიჩი
90. საოცრება; როდოსის ...
91. მომღერალი ფილიპ ...
92. ტაბლეტი
93. აკვიატებული აზრი
94. პერსონა ...-გრატა
95. კეთილი მოჩვენება
96. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
97. მსახიობი ... პიტი
98. რაველის მუსიკ. პიესა
99. აბატი პრევო. „... ლესკო“
100. მაგიდის ჩოგბურთი
101. მსახიობი სიუზენ ...
102. ყვავილი
103. მდინარე თერგის ხეობა
104. ტროას ქურუმი
105. პოეტი ... კალანდაძე
106. ტიბეტური ხარი
107. შხამიანი გველი
108. ინდური კაბა
109. მეცნიერება ცხოველებ. შესახებ
110. კაცუნა ზურგზე პროპელერით
111. უფლის სამოსი
112. ფეხბურთელი ზინედინ ...
113. მწერალი რედიარდ ...
114. მხედველობის ორგანო
115. ხის ჭურჭელი
116. ერთგვარი ავტომობილი
117. რეჟისორი ... სკოტი
118. ახალგაზრდა საქონელი
119. მწერალი ... ტოლსტოი
120. ქიმიური ელემენტი
121. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ...
122. იაპონური თეატრი
123. მსახიობი ... რაიანი
124. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
125. თოვლის კრისტალი
126. სიგარეტის ერთი მოქაჩვა
127. კურორტი ბულგარეთში
128. მსახიობი ... ტაილერი
129. საქონლის პატივი
130. კუნძული პარიზში
131. რუმინული ფულის ერთეული
132. ადამიანი, რომელსაც თვალების მდებარეობის დარღვევა აქვს
133. საღებავი, ჟანგმიწა
134. რეჟისორი ... დე ბონტი
135. გადაშენებული ფრინველი
136. მსახიობი ... მაონტანი
137. მესია ... ქრისტე
138. სასუნთქი თუთუნი
139. მხ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან“
140. ცხვარი ერთ წლამდე
141. სამარხი, ანუ ...
142. ინის საპირისპირო
143. ქართ. საესტრადო ანსამბლი
144. მხატვარი ... გრეკო
145. მწერალი ჟიულ ...

პასუხები: 1. მორიკონე; 2. ბაიკალი; 3. ალაზანი; 4. იერუსალიმი; 5. მაინ; 6. ნიკელი; 7. ომარი; 8. რეიგანი; 9. განა; 10. პოინტერი; 11. იელი; 12. კაი; 13. კრანახი; 14. ხონი; 15. მორუა; 16. ტიმბერლეიკი; 17. გრინვიჩი; 18. კილი; 19. კუ; 20. კილიმანჯარო; 21. ივლისი; 22. მი; 23. არმენ; 24. იფქლი; 25. კენტავრი; 26. საზამთრო; 27. ლილიფარა; 28. ვია; 29. აქანდაზი; 30. ვინტი; 31. ტრალი; 32. ნეზვი; 33. ალმასი; 34. მუნი; 35. მაიონეზი; 36. სიურრეალიზმი; 37. მეი; 38. მათრახი; 39. ფხა; 40. მილენ; 41. ვიმპელი; 42. კივი; 43. ატოლი; 44. ნია; 45. კიჩო; 46. კიჭი; 47. სანკტ-პეტერბურგი; 48. ჭიაკოკონა; 49. „კარმენი“; 50. ფობია; 51. ნეო; 52. ქიმია; 53. სარაფანი; 54. აჯა; 55. „არგო“; 56. რინგი; 57. ამირანი; 58. ლაიმა; 59. ბანდერასი; 60. ზემელი; 61. ლაკმუსი; 62. იდო; 63. მაკარონი; 64. გარიბალდი; 65. ნოემბერი; 67. ვენა; 68. მარმელადი; 69. არიზონა; 70. კორო; 71. ტრიკო; 72. „ჰამლეტი“; 73. ნასკა; 74. სალტო-მორტალე; 75. ლაგოდეხი; 77. გობი; 78. მავრი; 79. აია; 80. ძე; 81. ჰაე; 82. ტერა; 83. პა; 84. გენუა; 85. დერმატოლოგი; 86. „რერო“; 87. დილანი; 88. ალბინოსი; 89. მილა; 90. კოლოსი; 91. კირკოროვი; 92. აბი; 93. მანია; 94. ნონ; 95. კასპერი; 96. ინდიგო; 97. ბრედ; 98. „ბოლერო“; 99. მანონ; 100. პინგ-პონგი; 101. სარანდონი; 102. ტიტა; 103. დარიალი; 104. ლაოკოონი; 105. ანა; 106. იაკი; 107. აგა; 108. სარი; 109. ზოოლოგია; 110. კარლსონი; 111. კვართი; 112. ზიდანი; 113. კიპლინგი; 114. თვალი; 115. კასრი; 116. პიკაპი; 117. რიდლი; 118. დეკეული; 119. ლევ; 120. იოდი; 121. ენგელსი; 122. ნო; 123. მეგ; 124. მისური; 125. ფიფქი; 126. ნაფაზი; 127. ვარნა; 128. ლივ; 129. ნაკელი; 130. სიტე; 131. ლეი; 132. ელამი; 133. ოხრა; 134. იან; 135. მოა; 136. ივ; 137. იესო; 138. ბურნუთი; 139. ისინი; 140. თოხლი; 141. მავზოლეუმი; 142. იანი; 143. „ივერია“; 144. ელ; 145. ვერნი. იკითხება: ორლანდო ბლუმი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მეუღლე გივი, შვილები: გია, ნუკრი, ძმა ვალიკო, მაზლი გურამი, მული ციალა, რძლები: ნანუშა, მარინა, ლია, მაყვალა, ნორა, რიმა, შვილიშვილები: ნანა, ნინო, მირიანი, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა (ნანუშა) აბულაძე-გოცირიძე**

**პანაშვიდი:** 9, 10 დეკემბერს;

**გამოსვენება:** 11 დეკემბერს, 14 საათზე. ბაღდათის რაიონი სოფელი დიმი.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ყვავილოვანი კომბოსტო საოჯახო აფთიაქს ადვილად შეგიცვლით



როგორც სპეციალისტები გვირჩევენ, ეს პროდუქტი აუცილებლად უნდა შედიოდეს ჩვენს ყოველდღიურ მენიუში და თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ საოჯახო აფთიაქი, უბრალოდ, აღარც კი დაგჭირდებათ.

ყვავილოვანი კომბოსტო – ეს არის უზარმაზარი საბადო მინერალური მარილების, ცილებისა და ნახშირწყლების. ამასთანავე, მისი ცილები ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელ ამინომჟავებს შეიცავს.

უფრო ზუსტად, ყვავილოვანი კომბოსტო შეიცავს ვიტამინებს: ცე, ბე 1, ბე 2, ა, ასევე, კალიუმს, კალციუმს, ნატრიუმს, ფოსფორს, რკინასა და მაგნიუმს.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ყვავილოვანი კომბოსტოს ხშირი მოხმარება არის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალება სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ ქალბატონებისთვის და პროსტატის წინააღმდეგ მამაკაცებისთვის.

აი, რაც შეეხებათ გასტრიტით, ბრონქიტით დაავადებულებსა და ასევე, თირკმელებთან და ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანებს, მათთვის ყვავილოვანი კომბოსტო ისეთივე აუცილებელი ყოფილა, როგორც ჰაერი!

მოკლედ, თუკი ზრუნავთ როგორც საკუთარ, ისე თქვენი ახლობლების ჯანმრთელობაზე, მაშინ გაითვალისწინეთ სპეციალისტების რჩევები და თუ ყოველდღე არა, ყვავილოვანი კომბოსტო კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც მიიღეთ.

*myjane.ru*

## ისეც ხდება, რომ სახლიც კი ქრება ხოლმე...



ფენომენი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ კანადელმა ვიქტორ ფარელიმ გაახმაურა, თანამედროვე მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი გახლდათ.

– ერთხელ, როცა ავტოსტოპით მოგზაურობა გადავწყვიტე, – ყვება ვიქტორ ფარელი, – და ნაცნობ სახლთან გავიარე, რომელსაც გარშემო ვაშლის ბრწყინვალე ბაღი ჰქონდა შემორტყმული, ჩემი ყურადღება უჩვეულო ხმაურმა მიიპყრო...

როცა მოგზაური სახლს მიუახლოვდა, მის გვერდით ახალი ნაგებობა შეამჩნია, რომელიც წარსულში არასოდეს ენახა...

– როგორც კი კარზე დავაკაკუნე, ის თავისით გაიხსნა და მეც შიგნით შევედი...

რამდენად შეიძლება ეს ყველაფერი დასაჯერებელი იყოს, რთული სათქმელია, მაგრამ კანადელი ამტკიცებს, რომ სახლი სავსე იყო ხილით, ნუგბარი საჭმელებითა და ძვირფასეულობით, ადამიანის ჭაჭანება კი არსად ჩანდა...

ვიქტორ ფარელის იქაურობა მალევე დაუტოვებია და ბაღის პატრონთან მისულა საკითხავად, როდის და ვინ ააგო ასეთი ლამაზი სახლი, მაგრამ მისდა გასაკვირად, კითხვაზე საკმაოზე მეტად უჩვეულო პასუხი მიიღო:

– ამ მხარეში მხოლოდ ერთი სახლია და სწორედ მის ზღურბლზე დგახარ...

– კი მაგრამ... – და აი, აქ შეაშრა მოგზაურს პირზე სიტყვა – იმ ადგილისკენ მიბრუნებულს, სადაც სულ რამდენიმე წუთის წინ მომხიბვლელი სახლი იდგა, მხოლოდ ერთი დიდი სიცარიელელა იყო დარჩენილი.

რაც ყველაზე მთავარია, არავითარი ყვირილი და ხმაური ვიქტორ ფარელის მეტს არავის არაფერი გაუგია...

*raut.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**9 დეკემბერი:** შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სიყვარულში უჩვეულოდ წარმატებული იქნებით. ამიტომ ამ საკითხზე მკითხაობა არ ღირს.

**კურო 22.04-21.05**

**9 დეკემბერი:** თუ საჭირო ადამიანს კომპლიმენტს საჭირო დროსა და ადგილას ეტყვით, ძალიან გაგიმართლებთ. ეს საკმარისი იქნება, რომ ყველაფერი კარგად განვითარდეს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**9 დეკემბერი:** როგორც ჩანს, დღეს რაღაცაში გაგიმართლებთ. თქვენი ამოცანაა, კარგად მიმოიხედოთ და გაარკვიოთ, რაში გაგიმართლათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**9 დეკემბერი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით. მთავარია, ის სწორად გამოიყენოთ და ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რის გამოსწორებასაც დიდი დრო დასჭირდება.

**ლომი 23.07-22.08**

**9 დეკემბერი:** შეიძლება დღეს რაღაც ისეთი დაინახოთ, რის დანახვასაც სხვები ვერ შეძლებენ. არ შეშინდეთ, ხვალისთვის ყველაფერი გადაივლის.

**ქალწული 23.08-22.09**

**9 დეკემბერი:** შესაძლოა, თქვენში ორატორულმა ნიჭმა გაიღვიძოს, რაც ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერ რამეში დარწმუნების საშუალებას მოგცემთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**9 დეკემბერი:** პრობლემების მოგვარებისადმი ახლებური მიდგომებით ყველას გააოცებთ. ერთადერთ დაბრკოლებად შეიძლება ძალების ნაკლებობა გექცეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**9 დეკემბერი:** თუკი რჩევა არ მოგეწონებათ, ვალდებული არ ხართ, შეასრულოთ, თუნდაც ეს თქვენთვის თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტს ჰქონდეს ნათქვამი.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**9 დეკემბერი:** ურიგო არ იქნება, თუკი მიუბრუნდებით საქმეს, რომელიც წინა კვირაში მიატოვეთ. წესით და რიგით, ყველაფერი უნდა გამოგივიდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**9 დეკემბერი:** თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყებთ სასურველის მისაღებად ბრძოლას, შემდეგ მის მიმართ ინტერესი გაგიქრებათ. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა.

**მერწყული 20.01-18.02**

**9 დეკემბერი:** როგორც ჩანს, ზომაზე მეტად ილაპარაკებთ. სიტყვები აკონტროლეთ და შეეცადეთ, დროულად გაჩერდეთ. მოლაყბე არავის უყვარს და თანაც, შეიძლება საუბრის ძირითად თემას ასცდეთ.

**თევზები 19.02-20.03**

**9 დეკემბერი:** დროა, ჩაერიოთ და მოვლენების მსვლელობა თქვენთვის სასურველი მიმართულებით წაიყვანოთ. ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რას გეტყვიან ამის გამო, მთავარი თქვენი ინტერესებია.

## იაპონელებმა ემოციური რობოტი გამოიგონეს



ხედავთ, სადამდე წავიდა ტექნიკა, რომ რობოტები უკვე სიხარულისგან ტაშ-ფანდურის გამართვასაც ახერხებენ?!

როგორც ირკვევა, რობოტი, რომელიც ადამიანური გრძნობების გამოხატვას ახერხებს, იაპონელებმა შექმნეს და მას სულ შვიდი გრძნობის გამოვლინების უნარი მიანიჭეს.

იაპონელების მორიგ ქმნილებას სახელად კობიანი ეწოდება და შეუძლია სიხარულის, გაკვირვების, მოწყენილობისა და კიდევ სხვაგვარი ემოციების გადმოცემა.

იმისთვის, რათა კობიანმა ადამიანური გრძნობები გამოხატოს, მას „სახეზე“ პატარ-პატარა მოტორები აქვს დამონტაჟებული, რომლებიც ტუჩების, წარბებისა და თვალების მოძრაობაზე არიან პასუხისმგებლები.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ თუკი კობიანს აღფრთოვანების გამოხატვა სურს, ამისთვის ხელებს ზევით წევს, პირს ფართოდ აღებს და თვალებს აფახულებს, ხოლო თუკი ის მოიწყენს, თავს ჩაქინდრავს და ხელებს სხეულზე დაიწყობს.

ამ ეტაპზე გამომგონებლები კობიანის კიდევ უფრო დახვეწაზე მუშაობენ, შემდგომში კი მას რომელიმე სარეაბილიტაციო ცენტრში გაგზავნიან, სადაც მძიმე ავადმყოფების გასართობად გამოიყენებენ.

*factroom.ru*

## ბავშვის სიკვდილის გამო რესტორანმა 13,5 მილიონი გადაიხადა



ამ ხმაურიანი პროცესის განხილვაზე ამერიკული სასამართლო თითქმის 8 წლის განმავლობაში მუშაობდა და საბოლოო ჯამში, განაჩენის გამოტანაც მოხერხდა – ცნობილი რესტორნების ქსელის „სიზლერის“ ხელმძღვანელობამ მათ ერთ-ერთ ფილიალში მოწამლული და შემდეგ გარდაცვლილი 12 წლის ბრაიან კრიფოლის მშობლებს კომპენსაციის სახით 13,5 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა.

სიმართლე გითხრათ, ძალიან გასაკვირი ფაქტია, როცა გოგონას გარდაცვალების შემდეგ მისი მშობლები ამდენი ხნის განმავლობაში ფულის მიღებაზე წვალობდნენ, თუმცა ცხოვრებაზე ხომ ყველას საკუთარი შეხედულება აქვს და რთულია, ასეთი ადამიანების შესახებ რაიმე დასკვნა გააკეთო.

სამწუხაროდ, ბრაიან კრიფოლი იმ 140 ადამიანის სიაში მოხვდა, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე დროს „სიზლერის“ ქსელში ხორცის მიღების შემდეგ ნაწლავური ჩხირებით დაავადნენ, თუმცა ინფექცია მხოლოდ ყველაზე პატარას მოერია და რამდენიმე დღეში ფატალური შედეგი გამოიწვია.

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქუჩაში ორი პროგრამისტი შეხვდა. ერთი ახალ, ძალიან მაგარ ველოსიპედზე ზის. მეორე ეკითხება:

– მაგარი ველიკია! ძვირი დაგიჯდა?

– უფასოდ გავირტყი!

– ვაა, როგორ?

– მოკლედ, პარკში ვსეირნობდი. უცბად მაგარი გოგო მომიახლოვდა ამ ველოსიპედით. გადმოხტა, გაიხადა კაბა, ტრუსები და მითხრა, ყველაფერს მოგცემ, რაც მოგინდებაო. ჰოდა, ველიკი ავირჩიე.

– ყოჩაღ! აბა, კაბა რად გინდოდა, ქალი ხომ არ ხარ, ტრუსები კი ნაღდად არ მოგერგებოდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია

»211359457

კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30